პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის საქალაქო კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების უმაღლესი საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 276 (10670) | სამშაბათი, 27 ნოემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

## ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის

მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ზრუნავენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარებისათვის, სულიერად და ფიზიკურად ძლიერი ადამიანების აღზრდისათვის. ამ დიდ ზრუნვაზე მეტყველებს სულ უფრო მზარდი სახელმწიფო ასიგნობანი ფიზიკური კულტურისა და სპორტისათვის, ახალ სასპორტო ნაგებობათა მშენებლობა, სპეციალური სასწავლო დაწესებულებების ფართო ქსელი.

კომუნიზმის მშენებელი ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელმა ზრდამ, სოციალისტური კულტურის განვითარებამ შექმნა საფუძვლები ჩვენს სამშობლოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მისი მასობრიობისათვის.

საბჭოთა ფიზკულტურელები მტკიცედ ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ამოცანებს, რომლებიც მიმართულია მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისაკენ, იბრძვიან სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისათვის და მსოფლიო პირველობისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მათ სისტემატურად შეაქვთ შესწორებები მსოფლიო რეკორდების ცხრილში, საერთაშორისო შეჯიბრებებზე ახდენენ საბჭოთა სპორტის ძლიერების დემონსტრაციას. ამჟამად საბჭოთა სპორტის საუკეთესო წარმომადგენლები მელბურნში, XVI ოლიმპიადაზე იმყოფებიან, რათა მტკიცედ დაიცვან ჩვენი დიადი სოციალისტური ქვეყნის სპორტული ღირსება, ასახელონ სამშობლო ახალი წარმატებებით.

1956 წელს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისათვის. 89 რაიონსა და ქალაქში ჩატარდა სპარტაკიადა, რომლებშიც 2.300 ფიზკულტურული კოლექტივი იღებდა მონაწილეობას. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში ფიზკულტურელთა რიცხვი 25 ათასით გადიდდა.

საქართველოს სასპორტო დელეგაციამ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მეხუთე საერთო გუნდური ადგილი მოიპოვა. კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ფეხბურთელებმა, წყალბურთელებმა, თავისუფალი ჭიდაობის ოსტატებმა, რომლებიც მეორე ადგილზე გამოვიდნენ. საქართველოდან წარგზავნილთაგან ხუთმა ოქროს მედალი დაიმსახურა.

მაგრამ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობას გააჩნია ნაკლოვანებებიც. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სპორტული მუშაობის სიმძიმის ცენტრი საჭიროა გადატანილ იქნას ფიზიკური კულტურის კოლექტივებში, რადგან ფიზკულტურული კოლექტივი არის ის ძირითადი რგოლი, რომელზეც დამოკიდებულია ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება. ამიტომ არ შეიძლება შევურიგდეთ ისეთ ფაქტებს, როდესაც საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში არ ზრუნავენ სიცოცხლისუნარიანი ფიზკულტურული კოლექტივების შექმნისათვის. ის მდგომარეობა, რომ ბოლნისისა და ყვარლის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებული არ არის ფიზკულტურული კოლექტივები, პირველ რიგში ამ რაიონების კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების სუსტ მუშაობაზე მიუთითებს და მათგან ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

ზოგიერთ საწარმოსა და დაწესებულებაში სათანადო ყურადღება არ ექცევა მშრომელთა ჩაბმას ფიზკულტურულ მუშაობაში. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, სადაც ათასობით კაცი მუშაობს, რომელთა უდიდესი ნაწილი ახალგაზრდობაა, ფიზკულტურულ მუშაობას მუშა-მოსამსახურეთა მხოლოდ 25 პროცენტი ეწევა. ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში, თბილისის № 4 პურის ქარხანაში, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ერთი ნაწილი თავისი ინიციატივით იშვიათად აწყობს ან სრულიად არ აწყობს სპორტულ ღონისძიებებს, შეჯიბრებებს, სათავეში არ უდგას ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სჯერდება ზემდგომი კომკავშირული ორგანიზაციების მიერ რეკომენდებული ღონისძიებების განხორციელებას. კომკავშირის რაიკომების, საქალაქო კომიტეტების ზოგიერთ მუშაკს ნაკლებად აინტერესებს ფიზკულტურა და სპორტი. ამითაც აიხსნება ის, რომ რესპუბლიკის კომკავშირელთა დაახლოებით ნახევარია ჩაბმული აქტიურ ფიზკულტურულ მუშაობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქალაქ ჭიათურაში, გურჯაანისა და ჩოხატაურის რაიონებში, სადაც კომკავშირელთა მცირე პროცენტი ეწევა ფიზკულტურულ მუშაობას.

საქართველოს მთიან რაიონებში ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული ფიზკულტურა და სპორტი. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ საქართველოს სსრ სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობას არ იღებდა მაღალი კვალიფიკაციის არც ერთი სპორტსმენი ყაზბეგის, ასპინძის, ადიგენის, ბოგდანოვკის, მესტიის რაიონებიდან.

არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები აქვთ რესპუბლიკის სპორტსმენებს მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მძლეოსნობის 32 სახეობის 320 საუკეთესო მძლეოსანთა შორის მხოლოდ შვიდი აღმოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი. სპორტის ამ სახეობებში ჩამორჩენა ნაწილობრივ მწვრთნელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობითაც აიხსნება. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ თბილისის სპარტაკიადაში მხოლოდ 28 მოკრივე მონაწილეობდა, მაშინ როცა თბილისში 50-მდე მწვრთნელი მუშაობს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების ვალია მეტი ოპერატიულობა გამოიჩინონ მუშაობაში, ქმედითი დახმარება გაუწიონ ადგილობრივ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ნაკლოვანებათა დასაძლევად და დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

ფიზიკური კულტურის შემდგომი განვითარება მოითხოვს, რომ ყოველ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სასწავლებელში შეიქმნას სიცოცხლისუნარიანი, მოქმედი ფიზკულტურული კოლექტივი. მშრომელთათვის ფართოდ უნდა გავაღოთ სტადიონების, სასპორტო მოედნების კარები, მოვაწყოთ საინტერესო შეჯიბრებანი, სახალხო თამაშობანი.

საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მრავალფეროვანი შეჯიბრებები თვითეული ფიზკულტურული კოლექტივის ცხოვრებაში ყოველდღიურ მოვლენად იქცეს. უნდა გაუმჯობესდეს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, მეტი ყურადღება მიექცეს მოწინავე მწვრთნელთა გამოცდილების გავრცელებას, წვრთნაში ახალი მეთოდების დანერგვას.

ზრუნვა ფიზკულტურული მუშაობის უკეთ წარმართვისათვის კომკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. კომკავშირელები უნდა გამოდიოდნენ ფიზკულტურულ ღონისძიებათა ჩატარების ინიციატორებად, მაგალითს იძლეოდნენ სპორტული მწვერვალების დაპყრობაში.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ვალია მეტი ყურადღება მიაქციონ სპორტულ ცხოვრებას, იზრუნონ ფიზკულტურული კოლექტივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს.

ამოცანა ის არის, რომ დავძლიოთ ჩამორჩენა სპორტის ცალკეულ სახეობებში, ვიბრძოლოთ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის, განვამტკიცოთ და გავამრავლოთ საბჭოთა სპორტის მიღწევები.

## ნ. ა. ბულგანინმა მიიღო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა

26 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა.

მიღებას დაესწრნენ: რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრუ ბირლედიანუ, რუმინეთის ელჩი სსრ კავშირში მიხაი დალია, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ა. ა. ეპიშევი.

(საკდესი).

# მოსკოვს ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

26 ნოემბერს მოსკოვს ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა.

მოსკოვი გულთბილად შეხვდა მოძმე ხალხის წარმოგზავნილებს. მოსკოვის ვაგზალში რუმინეთის დელეგაციის მატარებლის მოსვლისას შეიკრიბა მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი. ისინი აქ მოვიდნენ, რათა გამოეთქვათ გულწრფელი სიმპათიის გრძნობები რუმინელი მშრომელებისადმი, რომლებთანაც მათ აკავშირებს სოციალისტური ბანაკის ერთიანობისათვის, ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლაში მიზნების ერთობა.

პერონზე, რომელიც მორთული იყო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! გაუმარჯოს რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას!" — ეს სიტყვები აწერია რუმინულ და რუსულ ენებზე დიდ ტილოებს.

სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ა. ი. მიქოიანი და მ. ზ. საბუროვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის მინისტრები პ. ი. ანტროპოვი, ვ. გ. ბაკაევი, ბ. პ. ბეშჩევი, ნ. პ. დუდოროვი, მ. ა. ევსეენკო, ვ. პ. ელიუტინი, ა. გ. ზვერევი, ი. გ. კაბანოვი, ა. კ. კორტუნოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ს. მ. ტიხომიროვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ს. მოსკალენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

შემხვედრთა შორის იყვნენ მოსკოვში რუმინეთის საელჩოს პერსონალი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

11 საათსა და 05 წუთზე მატარებელი ორკესტრის ხმებში პლატფორმასთან გაჩერდა. ვაგონიდან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან კივუ სტოიკასთან ერთად გამოდიან მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრუ ბირლედიანუ, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე გეორგე გასტონ მარინი, ფინანსთა მინისტრი მანია მენესკუ, საგარეო ვაჭრობის მინისტრი მარჩელ პოპესკუ და მათი თანმხლები პირები.

სტუმრებთან ერთად ბუქარესტიდან ჩამოვიდა სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ა. ა. ეპიშევი. ამავე დროს მოსკოვს დაბრუნდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მიხაი დალია, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეების მოადგილეები მ. ა. პოპოვი და ბ. გ. ლოპატენკო, რომლებიც საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვარზე იყვნენ დელეგაციის შესახვედრად.

საბჭოთა ხელმძღვანელები გულთბილად მიესალმნენ რუმინეთის მთავრობის დელეგაციის წევრებს. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კივუ სტოიკამ მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი. ყინვიან ჰაერში ვაგზლის უზარმაზარი შენობის თაღებში საზეიმოდ ჟღერდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

[illegible] ტაშით შეხვდნენ.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა მიკროფონთან მივიდა და სიტყვა წარმოთქვა. მან თქვა:

ამხანაგო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ!

ამხანაგებო, მეგობრებო!

ჩვენს დელეგაციას მოსკოვს, დიდი საბჭოთა კავშირის დედაქალაქს ჩამოსვლა დიდ სიხარულს ანიჭებს. ნება მიბოძეთ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის და მთელი რუმინელი ხალხის სახელით გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა ხალხს უაღრესად გულწრფელი და მხურვალე სალამი!

ჩვენმა დელეგაციამ თან ჩამოიტანა რუმინელი ხალხის ძმური სიყვარულის გრძნობები დიდი საბჭოთა ხალხისადმი, რომელიც თავის საუკეთესო ძმად და მეგობრად მიაჩნია. ჩვენი ქვეყნის მშრომელები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ საბჭოთა ხალხის შვილებმა თავიანთი სისხლი დაღვარეს რუმინელი ხალხის შვილებთან ერთად ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლებისათვის, რის შედეგადაც შეიქმნა პირობები, რომლებშიც ჩვენმა ხალხმა თავისი ბედი საკუთარ ხელში აიღო და შეუდგა ახალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობას.

რუმინელი ხალხის შემოქმედებითი შრომა თავისი სამშობლოს ეკონომიური და კულტურული განვითარების ასპარეზზე, მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ზრდა სარგებლობენ საბჭოთა კავშირის მუდმივი მხარდაჭერით.

ჩვენ ჩამოვედით საბჭოთა კავშირის დედაქალაქს, რათა მოლაპარაკება ვაწარმოოთ საბჭოთა მთავრობასთან საკითხებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს აინტერესებთ. მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი მოლაპარაკება, რომელიც გაიმართება თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების სულისკვეთებით, რაც სოციალისტური ქვეყნების დამახასიათებელია, სრული წარმატებით დაგვირგვინდება, ახალ წვლილს შეიტანს ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობის განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში.

დღეს, როცა იმპერიალისტური აგრესიული წრეები ისწრაფვიან დაარღვიონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და საფრთხეს უქმნიან ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმეს, სოციალისტური ქვეყნების ძმური მეგობრობა უფრო მტკიცე ხდება და სოციალიზმისაკენ მათი წინსვლისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის ყველაზე საიმედო გარანტიაა. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც მუშათა კლასისა და მთელი რუმინელი ხალხის ღრმა რწმენას გამოთქვამს, თავის უმთავრეს საერთაშორისო მოვალეობად, რასაც უკარნახებს თავისი სამშობლოს ძირითადი ინტერესები, მიაჩნია დიდ საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და მშვიდობისა და პროგრესისათვის მებრძოლ ყველა ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობის მუდმივი განმტკიცება და გაღრმავება.

გაუმარჯოს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სამარადისო და ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას!

რუმინეთის მთავრობის მეთაურის სიტყვას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. (საკდესი).

## ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ყირგიზეთის სსრ მებამბეებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მოიყვანეს ბამბის კარგი მოსავალი და ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების წლიური გეგმა. დამამზადებელ პუნქტებში ჩაბარებულია 145 ათასი ტონა ნედლი ბამბა, ანუ 29 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ყირგიზეთის სსრ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს ულოცავენ მოპოვებულ წარმატებას და რწმენას გამოთქვამენ, რომ ისინი კვლავაც კიდევ მეტი გულმოდგინებით იმუშავებენ, რათა შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი ბამბისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

## შესრულებულია თორმეტი თვის გეგმა

[illegible] გადიდდა. ახლა მაღაროთსამმართველოს კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

მარგანეცს დეკემბრის დავალების ანგარიშში იძლევიან აგრეთვე ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოების კოლექტივები.

## მებრძმედეთა წარმატება

რუსთავი. (საკ. კორ.). გუშინ, 26 ნოემბერს, ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს კოლექტივმა 11 თვის საწარმოო გეგმა შეასრულა. მან დეკემბრის ანგარიშში ასობით ტონა მაღალხარისხოვანი თუჯი გამოადნო.

ყველაზე წინ მიდის მეოთხე ბრიგადა, რომელსაც ოსტატი მიხეილ გორდაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადის უფროსი მექურის რევაზ ყანდიაშვილის, უფროსი მეაირის რევაზ კაფიანისა და სხვა მებრძმედეთა თავდადებული შრომის შედეგად ნოემბრის 25 დღეში 440 ტონაზე მეტი ზეგეგმითი თუჯია გამოშვებული. მეორე ადგილზეა ოსტატ კ. პარასტაშვილის ბრიგადა, რომელმაც ამავე პერიოდისათვის გეგმის გადამეტებით 390 ტონა თუჯი მიიღო.

## ქართველ მეფრინველეთა დელეგაცია სტავროპოლში

სტავროპოლი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). უკანასკნელ წლებში სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი დარგის — მეფრინველეობის განვითარების საქმეში. ფართოდ არის ცნობილი მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოწყობილი მეფრინველეობის მექანიზებული ფერმები, სადაც სწრაფად ინერგება მოწინავეთა გამოცდილება.

ამ დღეებში სტავროპოლში ჩამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი ჯგუფი, რომელშიც შედის 38 კაცი. მათ შორის არიან მეფრინველეობის ფერმების გამგეები, ზოოტექნიკოსები, მეფრინველეები. დელეგაციის მიზანია შეისწავლოს და საქართველოში დანერგოს სტავროპოლელ მეფრინველეთა მდიდარი გამოცდილება.

სტავროპოლის მხარის მშრომელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ქართველი მეფრინველეების დელეგაციას. პირველ დღეს დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სტალინის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

ქართველი მეფრინველეების დელეგაცია სტავროპოლის მხარეში დარჩება 10-12 დღეს და დაწვრილებით შეისწავლის პიატიგორსკის კოლმეურნეობა „პროლეტარსკაია ვოლიას", ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, გეორგიევსკის კოლმეურნეობა „პუტ კომუნიზმუს", ესენტუკის საბჭოთა მეურნეობა „იასნაია პოლიანას" და სხვათა მდიდარ გამოცდილებას.

დელეგაციის წევრები აგრეთვე გაეცნობიან სტავროპოლის მხარის ღირსშესანიშნაობებს, ქალაქებს: კისლოვოდსკს, ესენტუკს, მინერალნიე ვოდის და სხვ.

## ახალი აეროვაგზალი

ფრუნზე. ფრუნზეს სამხრეთ გარეუბანში ყირგიზეთის დიდებული ალატოოს ფონზე მოჩანს ლამაზი მონუმენტური შენობა. ეს არის ახალი აეროვაგზალი. ვაგზალშია ვრცელი, მოხერხებული სადგომები: მოსაცდელი დარბაზი, დედისა და ბავშვის ოთახი, რესტორანი, სასტუმრო. (საკდესი).

## უამრავ სიმდიდრეთა მხარე

### წერილი კრასნოიარსკიდან

საიანის მთაგრეხილიდან ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანემდე მთელ ოთხიათას კილომეტრზე გადაჭიმული თვალუწვდენი სივრცე უამრავ ბუნებრივ სიმდიდრეთა მხარეს წარმოადგენს. როდესაც ამ სივრცის სამხრეთით მინუსინსკში ბაღები ჰყვავიან, ყვავილები იფურჩქნება, ჩრდილოეთ მხარეში — ტაიმირზე ისევ ზამთრის სუსხი მძვინვარებს.

ეს სივრცე საიანის მთაგრეხილიდან ყინულოვან ოკეანემდე კრასნოიარსკის მხარეა. იგი მდიდარია სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის საჭირო თითქმის ყველა წიაღისეული რესურსებით — ქვანახშირით, ნიკელით, რკინის, სპილენძის, ალუმინის, მთელი რიგი სხვა მადნით. ხე-ტყის მარაგის სიუხვით კრასნოიარსკის მხარეს საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით დიდი ტყეებია ანგარისპირის მიდამოებში. აქედან მიაქვთ ძვირფასი მერქანი არა მარტო საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხისაკენ, არამედ მრავალ უცხო ქვეყანაშიც.

კრასნოიარსკის მხარე ციმბირის ბეღელიც არის. მაღალმოსავლიანი მინუსინსკისა და ხაკასიის ტრამალები ყოველწლიურად მზარდი რაოდენობით გვაძლევენ ხორბალს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ ტრამალებზე ათვისებულ იქნა დაახლოებით ერთი მილიონი ჰექტარი ყამირი. ხაკასიაში ჩამოაყალიბეს ახალი საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ხორბლეულის ფაბრიკებს წარმოადგენენ. ერთ-ერთი ასეთი საბჭოთა მეურნეობა, რომელიც პარტიის XX ყრილობის სახელს ატარებს, ყოველწლიურად ორ მილიონ ფუთ ხორბალს იძლევა.

კრასნოიარსკის მხარეში ფართოდ ვითარდება ინდუსტრია. აქ შექმნილია მანქანათმშენებლობის, ქვანახშირის, ფერადი მეტალურგიის, ქიმიური, ჰიდროლიზური, ცემენტის, საფეიქრო მრეწველობა და მთელი რიგი სხვა დარგები. კრასნოიარსკში მუშაობს ციმბირის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა, რომელიც სახალხო მეურნეობას ამარაგებს ხიდურა ელექტრო-ამწეებით, სხვადასხვა დანადგარებით. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საამქროებში გამართული მძლავრი ამწეები ამ ქარხანაშია გაკეთებული, მინგეჩაურჰესის მთელი რიგი ელექტროდანადგარებიც აქედან არის მიღებული.

კრასნოიარსკის ქარხნები უშვებენ აგრეთვე თვითმავალ კომბაინებს, სამდინარო თბომავალ ხომალდებს, ცემენტს, ხელოვნურ ბოჭკოს, ხოლო იმიერპოლარეთის ქალაქის — ნორილსკის ქარხნები სახალხო მეურნეობას აძლევენ ნიკელსა და სპილენძს. აღმოსავლეთ ციმბირის დიდ სამრეწველო ცენტრად იქცა ქალაქი კანსკი, სადაც რამდენიმე საფეიქრო საწარმოა, ხოლო ჩორნიგორსკი, ბოროდინო და ნაზაროვო ქვანახშირის მრეწველობის ცენტრები გახდნენ.

კრასნოიარსკის მხარე სწრაფად იცვლის სახეს. მეექვსე ხუთწლედში იგი საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონი გახდება. ამუშავდებიან ელექტრომრეწველობის ახალი გიგანტები, ახალი მაღაროები, ქარხნები, საწარმოები, გაიხსნება მოძრაობა ახლადგაყვანილ რკინიგზებზე.

კრასნოიარსკის მხარის ახალ მშენებლობათა შორის ყველაზე დიდია კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურთან ერთად უმძლავრესი იქნება მთელ მსოფლიოში და მოგვცემს იმდენ ელექტროენერგიას, რამდენსაც კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურები ერთად აღებულნი. კრასნოიარსკჰესი შენდება მდინარე ენისეიზე, კრასნოიარსკიდან 38-40 კილომეტრის დაშორებით. მდინარეზე აღიმართება მაღალი კაშხალი, რომელიც წყალს შეაგუბებს და წარმოქმნის უზარმაზარ წყალსაცავს თითქმის 400 კვადრატული კილომეტრი ზედაპირით. ეს სადგური ელექტროენერგიას მიაწვდის მთელ რიგ ახალ საწარმოებს — კომბინატებს, მაღაროებს, მათ შორის ისეთი დიდი ენერგოტევადობის ქარხნებს, როგორიც იქნება საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში უმძლავრესი ალუმინის კომბინატი.

მეექვსე ხუთწლედში კრასნოიარსკის მხარის საწარმოებს შეემატება ნეფელინის დიდი საბადო, რომლის დამუშავება ღია წესით განხორციელდება. ნეფელინი ალუმინის ლითონის მისაღებად საჭირო ძირითადი ნედლეულია.

კრასნოიარსკის მხარეში ამჟამად გაჰყავთ ახალი რკინიგზები.

მეექვსე ხუთწლედის ბოლომდე კრასნოიარსკის მხარეში ამუშავდება ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ცელულოზის კომბინატი, ორი მძლავრი ქვანახშირის ჭრილი, რამდენიმე მანქანათმშენებელი ქარხანა, სამკურნალო პრეპარატების ქარხანა. არ გაივლის დიდი დრო, რომ კრასნოიარსკის სამრეწველო რაიონის გიგანტებს შორის აღიმართება დიდი მეტალურგიული ქარხანა, რომელიც იმუშავებს ანგარის რკინის მადნის უმძლავრესი საბადოს ბაზაზე.

უამრავი დოვლათით აუვსია ბუნებას კრასნოიარსკის მხარის თვალუწვდენი სივრცე. მაგრამ ეს დოვლათი რომ ავამოქმედოთ და ხალხის კეთილდღეობისათვის გამოვიყენოთ, საჭირო არიან ადამიანები, მშენებლები, ახალი ცხოვრების შემოქმედნი. ამიტომ ახლა ციმბირელები მოუთმენლად მელიან დამხმარეებს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, ყველა მოძმე რესპუბლიკიდან, მათ შორის საყვარელ მზიურ საქართველოდან.

„კომუნისტის" კოლექტიური კორესპონდენტი გაზეთ „კრასნოიარსკი რაბოჩის" რედაქცია.

# მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოვაწყოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები

ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილებაში მოეწყო თათბირი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პირველადს პარტორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობის საკითხი. თათბირზე აღინიშნა, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები წინა წლებთან შედარებით მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, კომუნისტების დიდი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს. პარტიულ კრებებს სკკპ წევრებისა და სკკპ წევრობის კანდიდატთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა ესწრება. კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ საანგარიშო მოხსენებათა განხილვაში, გაბედულად აკრიტიკებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და აყენებენ პრაქტიკულ წინადადებებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე პარტიული მასების ყურადღების ცენტრშია პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საკითხები, იმ კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც დგას თვითეული საწარმოს, კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის, დაწესებულების, ინსტიტუტისა და სკოლის წინაშე. კომუნისტები ფართოდ განიხილავენ იმ ამოცანების პრაქტიკულად შესრულების მიმდინარეობას, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმმა დასახა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მთელი პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამეურნეო საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ, როგორც შემოწმებით გამოირკვა, ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში სათანადოდ არ მოემზადნენ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოწყობისათვის, კომუნისტებს წინასწარ არ შეატყობინეს კრების მოწვევის დრო, ადგილი. თბილისის სტალინის რაიონში ანგარიშგება-არჩევნები 68 პარტიულ ორგანიზაციაში მოეწყო. კრებებს უნდა დასწრებოდა 1.325 კომუნისტი, სინამდვილეში კი დაესწრო 1.088. ასეთივე მდგომარეობაა თბილისის კიროვისა და ორჯონიკიძის რაიონებშიც.

ხაშურის რაიონის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოეწყო საანგარიშო-საარჩევნო კრება. მართალია, რაიონულმა კომიტეტმა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მიავლინა თავისი წარმომადგენლები, რომლებსაც დაევალათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებასა და ჩატარებაში, მაგრამ ზოგიერთი მათგანი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ამ დავალების შესრულებას, წინასწარ არ გაეცნო საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანოს მიერ გაწეულ მუშაობას, არ დაეხმარა პარტორგანიზაციის მდივანს პარტიული კრების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებაში.

ახალციხის შახტსამმართველოს № 1 შახტში პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებთან დაკავშირებით პარტიის რაიკომმა სამრეწველო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ფირცხალაიშვილი მიავლინა, მაგრამ მან თავის მოვალეობად როდი ჩათვალა დახმარებოდა პარტიულ ჯგუფებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებასა და ჩატარებაში. კიდევ მეტი, პარტიული ჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებებს იგი არც კი დაესწრო.

ხაშურის რაიონის სოფელ ბიჯნისის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ამხ. გ. გიგაშვილი) საანგარიშო-საარჩევნო კრება ზერელედ, კომუნისტთა ნაკლები აქტივობის ვითარებაში მოეწყო. საანგარიშო მოხსენება, რომელიც რვეულის ერთ გვერდზე იყო ჩამოწერილი, ზერელედ და ნაუცბათევად იქნა შედგენილი. მომხსენებელს არაფერი უთქვამს კოლმეურნეობის წინაშე მდგომ გადაუდებელ ამოცანებზე, იმაზე, რომ ბიჯნისში შეუწყნარებლად ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ზერელე მოხსენებამ გავლენა იქონია კამათზეც, რომელიც უფერულად წარიმართა. რაიკომის ბიურომ ამ პარტიულ ორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩევნო კრების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის რაიონული კომიტეტის წევრი ამხ. კ. ლომიძე გაგზავნა. იგი ორი დღით ადრე მაინც რომ მისულიყო ბიჯნისში, ახლოს გასცნობოდა კოლმეურნეობის ცხოვრებას, პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებს, დახმარებოდა პარტორგანიზაციის მდივანს საანგარიშო მოხსენების შედგენაში, მაშინ, ცხადია, კრება ასე უფეროლად არ წარიმართებოდა. მსგავსი მაგალითებია მარნეულის რაიონის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებშიც.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში წარმომადგენლების მავლინება არ გადაიქცეს ფორმალურ დავალებად. საჭიროა პირველადი პარტიული ორგანიზაციების დასახმარებლად გააგზავნონ ისეთი ამხანაგები, რომლებსაც პარტიული მუშაობის გამოცდილება აქვთ და მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ მეტად სერიოზულ საქმეს, და არა ისე, როგორც ეს ქალაქ გორის საკოლმეურნეო ბაზრის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მოხდა. პარტორგანიზაციაში, სადაც სკკპ 4 წევრია, საქალაქო კომიტეტის 3 და პრესის 2 წარმომადგენელი მოვიდა კრებაზე დასასწრებად. მაგრამ რა დახმარება გაუწიეს ამ წარმომადგენლებმა კომუნისტებს? ამაზე ნათლად მეტყველებს კრების მსვლელობა, რომელიც მოუმზადებლად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გარეშე წარიმართა.

თათბირზე აღინიშნა, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე სუსტად არის გაშლილი თვითკრიტიკა და მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების პირუთვნელი კრიტიკა. ბევრ შემთხვევაში გამოსვლები მოკლებულია პოლიტიკურ სიმახვილეს, კრიტიკა უმისამართოა. ამასთან კამათში ნაკლებად მონაწილეობენ რიგითი კომუნისტები. მარნეულის რაიონის სოფელ საბირქენდის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კამათში ხუთმა კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ იყო რიგითი კოლმეურნე.

საანგარიშო მოხსენება მნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტია. მის შედგენას დიდი გულისხმიერებით უნდა მოვეკიდოთ. აუცილებელია საანგარიშო მოხსენებაში კონკრეტულად, მკაფიოდ აისახოს მოპოვებული წარმატებანი და მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. გულდასმით შედგენილი, ანალიზიანი მოხსენება აჯამებს და კომუნისტებს აცნობს საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანოს მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს. ქალაქ ქუთაისის, ხაშურის, მარნეულის, მაიაკოვსკის, ხობის, ახალციხის რაიონების მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში კი იყო შემთხვევები, როცა ზერელედ, ნაჩქარევად, საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ების პრაქტიკული ამოცანებისაგან მოწყვეტით იქნა შედგენილი საანგარიშო მოხსენებები.

აღსანიშნავია, რომ ბევრგან პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე თითქმის სავსებით უვლიან გვერდს კომუნისტთა პარტიული სწავლების საკითხებს, არ მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ ეხმარება კომუნისტებს თეორიული განათლება მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ასევე ნაკლებად განიხილავენ მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, მასების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ იდეებზე აღზრდის საკითხებს.

სკკპ XX ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს გადაუდებელ ამოცანად დაუსახა კადრების ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლება. რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში შექმნილია კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრეები და სემინარები. რას აკეთებენ ეს წრეები და სემინარები, როგორ ეხმარებიან ისინი კადრებს ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლებაში? ყოველივე ამის შესახებ ქალაქ ქუთაისისა და გორის რაიონის პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე არაფერი არ თქმულა. ეს კი მით უფრო საჭირო იყო, რომ რესპუბლიკის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა. საწარმოთა და კოლმეურნეობათა ბევრი ხელმძღვანელი სუსტად ერკვევა კონკრეტული ეკონომიკის საკითხებში. ამითაც არის გამოწვეული, რომ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ახალი ტექნიკის დანერგვის, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, შრომის ორგანიზაციის, არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობათა უნარიანად გამოყენების საკითხებს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ხშირად ზერელედ ეხებიან პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს, კერძოდ, პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების, სკკპ რიგებში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების და კადრებთან მუშაობის საკითხებს. მაგალითად, ახალციხის შახტსამმართველოს № 1 შახტის პარტბიუროს საანგარიშო მოხსენებაში ზერელედ იყო ჩამოთვლილი მოწვეული კრებების რაოდენობა. მაგრამ არაფერი არ თქმულა იმის შესახებ, თუ რა საკითხები განიხილეს კრებებზე, რით იყო გამოწვეული ამ საკითხების განხილვა და რა შედეგი მოჰყვა ამას, როგორ არიან კომუნისტები განაწილებული მუშაობის გადამწყვეტ უბნებზე და უნარიანად ასრულებენ თუ არა ისინი მათთვის დაკისრებულ მოვალეობას. მომხსენებელს არ აღუნიშნავს, რომ პარტორგანიზაცია სუსტად ახორციელებს პარტიულ კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი. ესეც არის იმის მიზეზი, რომ შახტმა ქვანახშირის ამოღების 10 თვის გეგმა 74,6 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად შემცირებისა გაადიდა პროდუქციის თვითღირებულება და სხვ.

სკკპ წესდებით სამრეწველო, სავაჭრო დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება. მაგრამ როგორ იყენებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები კონტროლის უფლებას მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, როგორ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, როგორ არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია? — ყველა ამ საკითხზე ნაკლებად მსჯელობენ მაიაკოვსკის, მარნეულის, ხაშურის და სხვა რაიონების პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა ღრმად ჩასწვდნენ კომკავშირული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებს, იზრუნონ ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის შემოქმედებითი შრომისა და კულტურული დასვენების მოსაწყობად, მათი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის. მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, ამ საკითხებს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ნაკლები ყურადღება ექცევა.

პარტიული ორგანიზაციების შიგნით, უშუალოდ ბრიგადებში, საამქროებში, უბნებზე, აგრეგატებზე, იქ, სადაც მათი შექმნის შესაძლებლობაა, მოქმედებენ პარტიული ჯგუფები, მაგრამ პარტიის ზოგიერთმა საქალაქო და რაიონულმა კომიტეტმა პარტჯგუფორგების ანგარიშგება-არჩევნები დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოაწყო. ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩევნო კრება ისე ჩატარდა, რომ პარტიული ჯგუფების ანგარიშგება-არჩევნები არ მომხდარა.

პარტიული ორგანიზაციის შემდგომი საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კონკრეტული დადგენილების მიღებას. პარტიული ხელმძღვანელების მოვალეობაა ყური დაუგდონ მასების საქმიან შენიშვნებს და წინადადებებს, რამაც გამოხატულება უნდა ჰპოვოს კრების მიერ მიღებულ დადგენილებაში. მაგრამ ზოგან ასე როდი აკეთებენ. ხობის რაიონის სოფელ ხობის სტალინისა და ახალსოფლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიერ მიღებული დადგენილებები უცვლელად გადმოწერილია იმ დადგენილებებიდან, რომლებიც აღნიშნულმა ორგანიზაციებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გასულ წელს მიიღეს.

არის შემთხვევები, როცა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებად, მოადგილეებად, პარტბიუროების შემადგენლობაში ნაკლებად ირჩევენ რიგით მუშაკებს — მუშებს, კოლმეურნეებს, ტრაქტორისტებს, მუშა და კოლმეურნე ქალებს, იმ ადამიანებს, რომლებიც მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლები არიან. ქალაქ ქუთაისის, მაიაკოვსკისა და მარნეულის რაიონების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში მცირე რაოდენობით არიან არჩეული მუშები და კოლმეურნეები, ხოლო ხაშურის რაიონის იმ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც საანგარიშო-საარჩევნო კრებები უკვე ჩატარდა, არც ერთი ქალი არ აურჩევიათ.

ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში არის შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ფაქტები, წინასწარ განსაზღვრავენ პარტბიუროს შემადგენლობაში ასარჩევ კანდიდატურებს. მაგალითად, მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტბიუროს წევრებისა და რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატების კანდიდატურები წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით იქნა დასახელებული.

არის შემთხვევები, როცა კომუნისტების ერთი ნაწილი ცდილობს უმრავლესობას თავს მოახვიოს უღირსი კანდიდატურა. ზემდგომი პარტიული ორგანოს წარმომადგენლის მოვალეობაა კომუნისტებს განუმარტოს მათი აზრის მცდარობა, დაეხმაროს მათ საკითხის სწორად გარკვევაში. მაგრამ ზოგჯერ ასე როდი ხდება. ჭედის რაიონის სოფელ ორცვის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს ფ. ნაკაშიძე, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ პარტიის ჭედის რაიონული კომიტეტის ბიურომ სკკპ რიგებიდან გარიცხა კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის. რაიკომის წარმომადგენელი ფორმალურად რომ არ მოჰკიდებოდა მისთვის მინდობილ საქმეს და ეზრუნა კრების სათანადოდ მომზადებისათვის, ასეთი რამ არ მოხდებოდა. საჭიროა პარტიის ჭედის რაიკომმა სათანადო დასკვნა გააკეთოს ამ ფაქტიდან. ადგილებზე დასახმარებლად უნდა მივავლინოთ ისეთი კომუნისტები, რომლებიც მართლაც საქმიან დახმარებას გაუწევენ პარტორგანიზაციის მდივნებს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების შესწავლის მიზნით და იმისათვის, რომ ზემდგომმა პარტიულმა ორგანოებმა ოპერატიულად მიიღონ სათანადო ზომები გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს საარჩევნო დოკუმენტების დროულად გაფორმებას და პარტიულ კომიტეტებში დაუგვიანებლად წარდგენას. ამ საქმეს კი ყოველთვის როდი აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაციები. ქალაქის 95 პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან, სადაც ანგარიშგება-არჩევნები ჩატარდა, საანგარიშო-საარჩევნო კრების ოქმი პარტიის საქალაქო კომიტეტში 14 ნოემბრისათვის წარდგენილი ჰქონდა მხოლოდ 8 პარტიულ ორგანიზაციას. მსგავსი მაგალითებია მარნეულის, ხაშურისა და მაიაკოვსკის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროს ზოგიერთი წევრი იშვიათად ესწრება საანგარიშო-საარჩევნო კრებას, არ იღებს ზომებს კრების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე წარმართვისათვის. მაგალითად, პარტიის ხაშურის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრები ამხ. მ. ჯიბუტი (რაიაღმასკომის თავმჯდომარე), ამხ. შ. ხვედელიძე (რაიკომის მეორე მდივანი) ერთხელაც არ დასწრებიან საანგარიშო-საარჩევნო კრებებს.

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობა ფართოდ უნდა გააშუქონ საქალაქო და რაიონულმა გაზეთებმა. ადგილობრივი გაზეთები მოწოდებული არიან კვალიფიციური წერილები ბეჭდონ საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებების შესახებ, დროზე გამოააშკარაონ ნაკლოვანებანი. როგორც თათბირზე აღინიშნა, ამ მხრივ ბევრი საქალაქო და რაიონული გაზეთი ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. მარნეულისა და ხაშურის რაიონული გაზეთები პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების შესახებ თითო მოწინავე წერილის დაბეჭდვით დაკმაყოფილდნენ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბევრი რედაქცია ერიდება გაზეთის ფურცლებზე საანგარიშო-საარჩევნო კრებებში მიმდინარეობაში შემჩნეული ნაკლოვანებების გამოაშკარავებას.

როგორ მოხდა, რომ ქალაქების ქუთაისისა და გორის, მარნეულის, მაიაკოვსკის, ხაშურის, ხობის, ჭედის, ახალციხის და გორის რაიონების მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე კონკრეტული ამოცანების გაუთვალისწინებლად მოეწყო. ეს იმიტომ მოხდა, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, პარტიული კომიტეტების განყოფილებები ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს არ ხელმძღვანელობენ კონკრეტულად, საქმის ცოდნით. კიდევ მეტი, ზოგჯერ ისინი არც კი იცნობენ იმ მუშაობას, რომელსაც კომუნისტები ადგილებზე ეწევიან, მსჯელობისა და სერიოზული განხილვის საგნად არ ხდიან საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებების მიმდინარეობის პირველ შედეგებს, ამ კრებების მსვლელობაში დაშვებულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მოვალეობაა საჭირო დასკვნები გააკეთონ პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების მსვლელობაში გამოაშკარავებული ნაკლოვანებებიდან, ოპერატიულად, კონკრეტულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებასა და ჩატარებას, იზრუნონ იმისათვის, რომ სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტებმა ყურადღება გაამახვილონ ტექნიკური პროგრესისა და წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის საკითხებზე.

დიდი ამოცანებია დასახული სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე. ამჟამად ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა მოსავლის უდანაკარგოდ აღება, ზრუნვა პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ აქედანვე ჩაეყაროს საფუძველი მომავალი წლის უხვ მოსავალს. ეს ავალებს სოფლის კომუნისტებს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე საქმიანად იმსჯელონ იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ, გაბედულად გამოააშკარაონ კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, სამინისტროების, სამეცნიერო-საკვლევი, სავაჭრო და სხვა საბჭოთა დაწესებულებების კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ყურადღება უნდა გაამახვილონ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური წრთობის, ჭაბუკებისა და ქალიშვილების შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდის საკითხებზე, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა აპარატის გაიაფებისა და მის საქმიანობაში ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრება დიდი მოვლენაა პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სკკპ წესდების მოთხოვნათა მტკიცედ დაცვის საფუძველზე, გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაატარონ პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები.



თბილისი. საშუალო სასწავლებელში სწავლის დამთავრებისთანავე იური ლუკაშვილი კამოს სახელობის ლითონსამსხმელ ქარხანაში მივიდა სამუშაოდ, ისწავლა ზეინკლობა და წარმოების მოწინავე ადამიანი გახდა, ამჟამად ი. ლუკაშვილი დაუსწრებლად სწავლობს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. სურათზე: ი. ლუკაშვილი თავის სამუშაო ადგილზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

## ჩვენ გვწერენ

### კოლმეურნეთა ძალებით

კასპის რაიონის სოფელი მახარაძე თანდათან სახეს იცვლის, სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება. კოლმეურნეთა სახლები გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურებით, სოფელში გაყვანილია რადიოქსელი.

მახარაძელები უკვე ამთავრებენ ახალი სასმელი წყლის გაყვანას. წყლის სოფლამდე გაყვანის სამუშაოებში თავი გამოიჩინეს № 2, 4 ბრიგადებმა (ხელმძღვანელები ნ. შიშნიაშვილი და ნ. ლომიძე). საერთო საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს კოლმეურნეებმა ო. შიშნიაშვილმა, შ. პაპუნაშვილმა, ა. ბეროშვილმა, ბ. შიოშვილმა, ფ. ხუციშვილმა და სხვებმა. კარგად იმუშავეს აგრეთვე ავტომანქანის მძღოლებმა მ. ჯაფოშვილმა, გ. ბეროშვილმა, შ. ზაკალაშვილმა, შ. ბეროშვილმა და მ. გეთიაშვილმა.

სასმელი წყლის გამოყვანასთან დაკავშირებული ძირითადი სამუშაოები დამთავრებულია. სოფლის მშრომელებს აღარ მოუხდებათ სოფლიდან 5 კილომეტრით დაშორებულ ქოჩორას წყაროზე სიარული.

ეთერ მაზანაშვილი.

### უყურადღებოდ დატოვებული თხოვნა

წალენჯიხის რაიონული ცენტრი სოფლებს მუჟავას, ჯალას, ფახულანს, ჯვარისა და ლიას რამდენიმე ათეული კილომეტრით არის დაშორებული. აღნიშნული სოფლების მცხოვრებლები უტრანსპორტობის გამო გაჭირვებას განვიცდით.

რაიონულ ცენტრთან ამ სოფლების დასაკავშირებლად საკმარისია ზუგდიდის სარაიონთაშორისო ავტოკანტორამ (დირექტორი ბ. სალია) გამოჰყოს ორი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი ავტობუსი, რომ შესაძლებლობა გვქონდეს ნორმალურად ვიმგზავროთ. მაგრამ მრავალგზისი თხოვნა დღემდე უყურადღებოდ რჩება.

ჩვენი მიმოსვლის სიძნელეები კარგად არის ცნობილი აგრეთვე წალენჯიხის რაისაბჭოს აღმასკომისათვის. აღმასკომის ხელმძღვანელ მუშაკებსაც მივმართეთ ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ დახმარება არ გაგვიწიეს. თუ აღმასკომმა არა, ვინ უნდა მოაგვაროს ეს საქმე?

ს. შონია, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოფ. ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, ს. სამუშია, ლიის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

### რატომ არ მოდის ჩემი კუთვნილი ჟურნალ-გაზეთები?

მიმდინარე წლის ბოლომდე საცხოვრებელი ბინის მისამართით (ხეთაგუროვის ქ. № 66) გამოწერილი მაქვს გაზეთები „კომუნისტი", „ნორჩი ლენინელი" და ჟურნალი „დილა". „კომუნისტი" ივლისში მხოლოდ ოთხი ნომერი მივიღე, აგვისტოშიც რამდენიმე ნომერი დამაკლეს. დანარჩენი სულაც არ მიმიღია.

რამდენჯერმე მივმართე კავშირგაბმულობის მუშაკებს, მაგრამ მდგომარეობა ამით არ გამოსწორდა, რადგან ფოსტამტის მუშაკები ჩემს კანონიერ მოთხოვნას უსულგულოდ ეკიდებიან.

თომა წურწუმია,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

# უდანაკარგოდ ავიღოთ და გადავამუშაოთ ციტრუსოვანთა ნაყოფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციტრუსოვანთა მოსავლის მასობრივი კრეფა უკვე გაჩაღდა. 23 ნოემბრისათვის დამზადებული იყო 2.242 ტონა ნაყოფი, მათ შორის გადამუშავებულია 1.850 ტონაზე მეტი. მოსკოვსა და ლენინგრადში უკვე გაიგზავნა 190 ვაგონი ნაყოფი.

დაწინაურდა ბათუმის რაიონი. ციტრუსოვანთა კრეფის გეგმა უკვე შეასრულეს 57 პროცენტით. მაგრამ ასე როდი ითქმის ქობულეთის რაიონის შესახებ. აქ აგვიანებენ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფას. ამ მხრივ საყვედურის ღირსი არიან ხუცუბნისა და ქობულეთის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები და კოლმეურნეები.

ბათუმის № 3 და ქობულეთის რაიონის შემფუთავ ქარხნებში ვაგონების დროულად მოუწოდებლობის გამო ტონობით აწყვია მოკრეფილი ციტრუსები.

ბათუმის რაიონის სოფელ გონიოს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში აკლიათ ინვენტარი, კიბეები, წესრიგზე არ არის ავტოტრანსპორტიც. მსგავსი მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარციტრუსხილდამზადების კანტორის ხელმძღვანელებმა სათანადოდ ვერ გაითვალისწინეს გასული წლის შეცდომები და ნაკლოვანებები.

სწორედ ამის შედეგად მარტო სარფის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს 15 ტონამდე ფორთოხალი და მანდარინი გაფუჭდა. გარდა ამისა, აღნიშნული ქარხნის სარფის მიმღებ პუნქტს (გამგე ა. ხორავა) ფარღალალა კედლები აქვს. იმავე ქარხნის თხილნარის მიმღები პუნქტის სახურავი უვარგისია და წვიმა ჩამოდის.

უფრო უარესი მდგომარეობაა ქობულეთის შემფუთავ ქარხანაში (დირექტორი დ. ჭყონია). წელს ქარხანამ უნდა მიიღოს და გადაამუშაოს 18 მილიონამდე ცალი ნაყოფი. მართალია, ქარხანა ძირითადად მომარაგებულია ყუთებით, მაგრამ მთლიანად არ არის მზად მიმღები პუნქტები და მუშათა საცხოვრებელი ბინები. დაგვის მიმღებმა პუნქტმა წელს უნდა მიიღოს 6 მილიონამდე ცალი ნაყოფი. როგორც მიმღები პუნქტის მთავარი კორპუსი, ისე ტარის საწყობი სავალალო მდგომარეობაშია: სახურავი შეუკეთებელია და შიგ წყალი ჩამოდის, წვიმა აზიანებს ყუთებს. ავარიულ მდგომარეობაშია ქარხნის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი ბობოყვათში. მიმღები პუნქტისა და საცხოვრებელი სახლის შეკეთებისათვის განკუთვნილი 11 ათასი მანეთიდან არცერთი მანეთი არ დაუხარჯავს დანიშნულებისამებრ აჭარციტრუსხილდამზადების კანტორის ინჟინერს ნ. სვანიძეს.

ადამიანებისადმი უსულგულო-ბიუროკრატიული დამოკიდებულების მკაფიო სურათს იძლევა ქარხნის საერთო საცხოვრებლებში შექმნილი მდგომარეობა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ისინი მოთავსებულია ქარხნის მთავარ კორპუსში, დირექციის კაბინეტის გვერდით. საერთო საცხოვრებლებში უწესრიგობა და სრული ანტისანიტარიაა გამეფებული. საცხოვრებლების უზარმაზარ ოთახებში არ არის გათბობა და განათება, არა აქვთ სკამები, წყლის ჭურჭელი, ტანსაცმლის უბრალო დასაკიდიც კი, ფანჯრებში მინები ჩამტვრეულია. მუშებისათვის არ ჰყოფნით საწოლები, ხოლო რაც არის, ისიც უვარგისია. საცხოვრებლებში სიბინძურეა. ქარხნის დირექტორი დ. ჭყონია და კომენდანტი პ. პილილიანი არ იღებენ ქმედითს ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. შექმნილი მდგომარეობა კარგად არის ცნობილი ციტრუსხილდამზადების აჭარის კანტორის ხელმძღვანელებისათვის, მაგრამ არსებითი გარდატეხა არ მომხდარა.

საჭიროა სასწრაფოდ აღმოიფხვრას ციტრუსოვანთა მოსავლის აღება-გადამუშავების საქმეში არსებული ყველა ნაკლოვანება და მთელი ძალები დავრაზმოთ ციტრუსოვანთა ნაყოფის უდანაკარგოდ აღებისათვის, უზრუნველვყოთ მისი დროულად გადამუშავების საქმე.

**რ. ბერიძე,**
მახინჯაურის შემფუთავი ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი;
**ს. ტუღუში,**
გაზეთ „საბჭოთა აჭარის" მუშაკი;
**დ. პაიჭაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# რიცეულჰესის მშენებლობაზე

რიცეულჰესი სასოფლო სარაიონთაშორისო ჰიდროელექტროსადგურია. მისი ახლანდელი სიმძლავრე ძლივს ჰყოფნით ამბროლაურის რაიონის საწარმოებს და კოლმეურნეობებს განათების ქსელისათვის, ხოლო ბევრი სასოფლო-სამეურნეო პროცესის ელექტროფიკაციის განხორციელება შეფერხებულია ელექტროენერგიის სიმცირის გამო.

რიცეულჰესი მაღალი წნევის ჰიდროელექტროსადგურია. მისი სიმძლავრის გასადიდებლად იმ ზომამდე, რომ ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ ამ სადგურმა ჭარბი ელექტროენერგია რესპუბლიკის სხვა რაიონებსაც მიაწოდოს, საჭირო იყო შედარებით მცირე მოცულობის სამუშაოთა შესრულება. წელს უნდა შეესრულებინათ 250.000 მანეთის სამუშაო და შეეძინათ ტურბინ-გენერატორი და სხვა მოწყობილობა.

ტურბინგენერატორი უკვე მიღებულია დანიშნულებისამებრ. საქმე იმაზე მიდგა, რომ დაეჩქარებინათ სამშენებლო სამუშაოები, რათა უზრუნველყონ მომავალ წელს რიცეულჰესის სრული სიმძლავრით ამუშავება.

როცა ასეთი მდგომარეობა რაიონის კოლმეურნეებმა შეიტყეს, მათ ხალისით იკისრეს ყველა სამუშაოთა უაღრესად მოკლე ვადებში შესრულება და თავისი ეს ვალდებულება პირნათლად გაანაღდეს — წლიური გეგმით გათვალისწინებული 250.000 მანეთის ნაცვლად შეასრულეს თითქმის სამჯერ მეტი მოცულობის სამშენებლო სამუშაოები.

რიცეულჰესის სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე გამოსულ კოლმეურნე მშენებლებს უაღრესად მძიმე პირობებში მოუხდათ მუშაობა. მდინარე რიცეულის ტყით დაფარულ კლდოვან ხეობაში მათ სრულიად ახალი ტრასით გაიყვანეს სათანადო გამტარუნარიანობის ლითონის დიდდიამეტრიანი მილსადენი, 87 დღეში შეასრულეს 3.500 კუბმეტრი კლდის სამუშაო, 9.000 კუბმეტრზე მეტი მიწის სამუშაო და ა. შ.

მომავალი წლისათვის გადიდებული სიმძლავრით რიცეულჰესის ამოქმედებისათვის [illegible] ვებლად ბევრი სამუშაო აღარ დარჩა შესასრულებელი. მთავარი რაც იყო, უკვე გაკეთებულია. ყველა პირობაა იმისათვის, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რეკონსტრუირებული რიცეულჰესი საექსპლოატაციოდ გადასცეს 1957 წელს.

რიცეულჰესის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოფ. საღმელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჭელიძე), სოფელ საკეცის კოლმეურნეობა „პროგრესის" (თავმჯდომარე ვ. კობზონაძე), სოფ. ჭყვიშის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე რ. გადაბაძე) და სოფელ მეორე ტოლის კოლმეურნეობა „კომუნარის" (თავმჯდომარე რ. ლომთაძე) წევრებმა.

საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლებით და შემჭიდროებულ ვადებში შეასრულეს მინდობილი სამშენებლო სამუშაოები სოფ. ბოსტანის ენგელსის სახელობის (თავმჯდომარე ჯ. ჯოხაძე), სოფელ სინათლის კაგანოვიჩის სახელობის (თავმჯდომარე ვ. კობახიძე) და სოფელ პირველი ტოლის (თავმჯდომარე ი. გაგოშიძე) კოლმეურნეობების წევრებმა.

ახალი ჰიდროაგრეგატის გამართვისა და მცირე სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ რიცეულჰესიდან რესპუბლიკა სხვა რაიონებში სოფლის მეურნეობის საელექტროფიკაციოდ დამატებით მიიღებს 5.000 კილოვატ სიმძლავრეს.

რიცეულჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება რესპუბლიკაში ყველაზე დაბალი იქნება.

**დ. ლომთაძე, ა. ბეშიძე,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.



თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კამვოლურ საამქროში საუკეთესო შრომითს წარმატებებს აღწევს ნართის ჩამომღები ო. ოდიშელიძე, იგი ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად 110-112 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ო. ოდიშელიძე სართავ მანქანაზე მუშაობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## გაზეთების ფურცლებზე

### ერთი რაიონული გაზეთის სოფლკორები

ამბროლაურის რაიონულ გაზეთ „კომუნარში" ბევრი ინიციატივიანი, საგაზეთო მუშაობის მოყვარული სოფლკორი თანამშრომლობს. ისინი გაზეთის საშუალებით მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს აყენებენ, იბრძვიან ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. რაიონის სოფლკორთა მუშაობას, რედაქციასთან მათს ურთიერთობას ამას წინათ გაზეთმა „კომუნარმა" სპეციალური გვერდი დაუთმო. გვერდში დაბეჭდილი მასალები მოგვითხრობენ სოფლკორთა ამოცანებზე, მათს საქმიანობაზე.

გაზეთში დაბეჭდილ წერილში „ზოგიერთი რჩევა მუშსოფლკორებს" ლაპარაკია იმაზე, თუ როგორია გაზეთის კორესპონდენტთა ამოცანები, რა საკითხებზე უნდა წერდნენ ისინი, როგორ მოამზადონ კორესპონდენციები, რაზე გაამახვილონ ყურადღება და ა. შ. წერილში „საქმის გულშემატკივარნი" გაშუქებულია „კომუნარის" აქტიური სოფლკორების ნ. დარახველიძის, ბ. ყიფიანის, ვ. ქათამაძის, თ. გეწაძის და სხვ. საქმიანობა. სხვა წერილებში ლაპარაკია იმაზე, თუ რა უშლის ხელს სოფლკორებს მუშაობაში.

### ახალი სახის ორგანული სასუქი

გონიოს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, ქაობში დაგროვილია მახლობელი მთის კალთებიდან ჩამონარეცხი შლამი. როგორც ბათუმის რაიონული გაზეთი „კოლმეურნის გზა" წერს, ამას წინათ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის მეცნიერმა მუშაკებმა გამოიკვლიეს ამ შლამის ქიმიური შემადგენლობა. აღნიშნული შლამის გამოყენება საუკეთესო საშუალებაა ციტრუსებისა და ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად. დადგენილია აგრეთვე, რომ შლამის რაოდენობა წლების მანძილზე დააკმაყოფილებს ორგანულ სასუქზე გონიოს საბჭოთა მეურნეობისა და ახლო-მახლო კოლმეურნეობების მოთხოვნილებას.

წერილის ავტორი გონიოს საბჭოთა მეურნეობის აგრონომი ნ. მექვაბიშვილი მოგვითხრობს მეურნეობაში დაყენებული ცდების შედეგებზე. წელს აქ 0,04 ჰექტარი სიმინდის ფართობზე შეიტანეს შლამი იმ ანგარიშით, რომ თვითეულ ძირს უწევდა 200 გრამი. ამან სასურველი შედეგი გამოიღო. ამ ნაკვეთზე 50 პროცენტით მეტი მოსავალი მიიღეს, ვიდრე შლამის გამოუყენებლად კარგი მოსავლიანობის შემთხვევაში იღებდნენ.

ავტორი დაასკვნის, რომ გონიოს ქაობის შლამის გამოყენება ეკონომიური თვალსაზრისითაც სასარგებლოა. მას შეუძლია შეცვალოს ტორფი. ამავე დროს თვითეული ტონის მოპოვებისათვის 80 მანეთამდე დაიხარჯება, მაშინ როცა ერთი ტონა ტორფის შემოზიდვა 150 მანეთი ჯდება.

## სიმღერისა და ცეკვის დღესასწაული

24 და 25 ნოემბერს თბილისში 20 ადგილას — პლეხანოვის და გორკის სახელობის კლუბებში, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კლუბში, მასწავლებლის სახლში და სხვ., აგრეთვე ხაშურში, გორში, კასპში, მცხეთაში, გურჯაანში, ბოლნისში და თელავში გაიმართა ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი სიმღერისა და ცეკვის დღესასწაული.

დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის მრავალმა თვითმოქმედმა კოლექტივმა, მათ შორის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრმა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და სხვ. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა, მასწავლებლის სახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა, აგრეთვე ადგილობრივმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

## ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით

## საინტერესო შეხვედრები



გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომელიც სტუმრად იმყოფება მახარაძის რაიონში, ეწვია სოფელ ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას. აქ სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

— ჩვენი კოლექტივის წევრებს რაიონის მშრომელებთან ერთად დიდად ახარებს ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლა, — ამბობს ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. დ. მდინარაძე. — გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „ვოლნა რევოლუციისთან" ფართოდ გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ და გამოცდილების ურთიერთგაზიარებამ მნიშვნელოვანწილად შეგვიწყო ხელი კოლმეურნეობის წინსვლის საქმეში.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ალ. კორსუნმა დამსწრეთ მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

შემდეგ სტუმრებმა ინახულეს სოფელ ზვანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელთანაც პირველად ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. სტუმრებთან შეხვედრისადმი მიძღვნილი საერთო კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. კეკელიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ მახარაძის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ს. კაკაბაძე, კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი ამხ. გ. ვადაჭკორია, ბრიგადირები ვ. მექვაბიშვილი და დ. გაბეჩავა.

კოლმეურნეობა „ჩერვონი პარტიზანის" თავმჯდომარემ ამხ. ი. გავრილოვმა ზვანელ კოლმეურნეებს გააცნო თავისი კოლმეურნეობის მიღწევები.

ამ კრებაზე საზეიმო ვითარებაში გაფორმდა ორი კოლმეურნეობის — ზვანის ორჯონიკიძის სახელობისა და კოლმეურნეობა „ჩერვონი პარტიზანის" სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

**ბ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: მარცხნივ პირველი — სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ" თავმჯდომარე ვ. კვირჩილაძე, მარჯვნიდან მეორე — სოფელ ასკანის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ვასაძე იღებენ გენიჩესკის რაიონიდან საჩუქრად გამოგზავნილ ჯიშიან ძროხებს. ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

## სტუმრად სომეხ მეგობრებთან

ამას წინათ თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთი ჯგუფი გამოცდილების გაზიარებისა და მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით ერევნის სამედიცინო სასწავლებელს ეწვია.

სომხეთის დედაქალაქში ყოფნისას თბილისელები გაეცნენ ერევნის სამედიცინო სასწავლებლის ცხოვრებასა და საქმიანობას. მოეწყო ამხანაგური შეჯიბრება ფრენბურთსა და ჭადრაკში. ფრენბურთში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ხოლო ჭადრაკში გამარჯვება სტუმრებს ხვდათ. ამის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, ეწვივნენ ძველ ისტორიულ ქალაქ ეჩმიაძინს.

ერევნის სამედიცინო სასწავლებლის შენობაში მოეწყო ერევნისა და თბილისის სამედიცინო სასწავლებელთა მოსწავლეების თეორიული კონფერენცია. კონფერენციაზე წაკითხულ იქნა მოხსენება სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე. დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი მოხსენებები სპეციალურ თემებზე, მათ შორის „კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების ეტიო-პათოგენეზი", „აკადემიკოს ნ. ნ. ბურდენკოს ცხოვრება და მოღვაწეობა", „გართულებანი და შეცდომები სისხლის გადასხმის დროს", „მშობიარობის გაუტკივარების ფსიქოპროფილაქტიკური მეთოდი" და სხვა, სულ 8 მოხსენება. მომხსენებლებს — ნაზაროვას, კამენევას, გელაშვილს, კონონენკოს, ლაშკულს (თბილისი), ტონოიანს, ნალბანდიანს და აბრამიანს (ერევანი) ერევნის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით გამოეცხადათ მადლობა და გადაეცათ ფასიანი ჯილდოები.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა მეგობრობის საღამო. თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორმა პ. ჩუბინიძემ სასწავლებლის კოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის და ძმური, ურღვევი მეგობრობის ნიშნად გადასცა საჩუქარი — გ. სუნდუკიანის და ა. წერეთლის ფოტოსურათი სათანადო წარწერით. საღამოს მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ორივე სასწავლებლის მოსწავლეებმა.

მოძმე სომხეთის დედაქალაქში გატარებული დღეები დაუვიწყარი იქნება თბილისელებისათვის. კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად სტუმრებმა ერევნელ მეგობრებს სთხოვეს მომავალი წლის გაზაფხულზე ჩამოვიდნენ თბილისში.

**ი. ათანელიშვილი,**
თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის მასწავლებელი.

★

## თბილისელ სტუმრებს

მწყემსმა ყინულის ქარაფზე
ხმა გავიგონე წკრიალა,
თუშეთის ყინულოვანა
ქედები შეაზრიალა.
ვიფიქრე: ნეტავ ვისია
ეს სანატრელი ხმაური?
არ იყო მთების კალთებზე
ფრინველთა აურზაური,
არ იყო ცივსა ნიავზე
ვერხვის ფოთლების შრიალი,
არც იყო ანდიყოისუს
ცელქი ტალღების თქრიალი,
არ იყო დილის ბინდჟამზე
შურთხების შემოძახილი,
არც მწყემსის სალამურის ხმა,
არც არწივების ძახილი.
ვნახე, ნათელი სხივები
კლდეზე რომ გადმომდგარიყო,
მეგონა დილის ცისკარი,
რომ დავაკვირდი — არ იყო.
თურმე ყოფილხართ სტუმრები
თუშეთში თბილისიდანა,
გადმოგილახავთ მწვერვალი
თორღვას აბანოს გზიდანა,
ვერ შეგაშინათ სიძნელემ
გზაზე ღრუბლების ქუხილმა,
ვერც გზებმა ციცაბო კლდეზე
და ვერც ხევების დუდილმა!
შემოგეგებათ ქომიტო,
თავს ყინულგვირგვინიანი —
და ბაგეს გიხსნით დიკლოს მთა
მუზარად ბროლისთვლიანი,
მადლობას გეუბნებიან
დევენი, მოსხდარნი ღვარადა
და ჯიხვნიც თავზე გიცქერენ
კლდეზე დამდგარნი ჯარადა.
მთაც გიმღერთ ხალხის მოყვარულთ,
ხეობებს გააქვთ ქუხილი,
ვაჟკაცურ მკერდში ჩაგიდგამთ
სამშობლოს სულის დუღილი!

ავტორი-მთქმელი — თუში მწყემსი
**კობა ხაპრიძე.**

## მწყემსის სიმღერა

ჩვენი სოფელი რას ჰგავდა,
ბნელსა და მიუკარებსა,
ბატონი, ჩარჩი, ვაჭარი
ყველანი გვთხრიდნენ თვალებსა.
გვჩაგრავდნენ, გვავიწროვებდნენ,
ნაღველს გვასმევდნენ მწარესა.
ახლა აყვავდა სოფელი,
მოირთო პატარძალივით,
გადაიქარგნენ ველები
კოხტად ნაქარგი ხალივით.
ელექტრონიც გვაქვს კაშკაშა,
მზეს სჯობნის მოელვარესა,
რადიოც ხშირად გვიყვება,
რა ხდება მშობელ მხარესა.
შრომის სიმღერას მღერიან
კოლექტივში თუ მთაშია,
რკინის ხარები დაცურავს
ოქროსფერ პურის ზღვაშია.
იდიდოს დიდმა პარტიამ,
ყველგან გაისმის ხალხშია,
ძალა და უძლეველობა
მუდამ მის მარჯვენაშია.

მთქმელი —
მეცხვარე **სერგო ბატიაშვილი.**

## ინტერნატი, რომელსაც მეტი ყურადღება და დახმარება სჭირდება

თეთრ წყაროში შორიდანვე ჩანს ოთხსართულიანი ლამაზი შენობა. ეს სკოლა-ინტერნატია. ბავშვთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის აქ ყველა პირობაა შექმნილი: ნათელი საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები, სასპორტო დარბაზი, სასადილო, საძინებელი ოთახები.

სკოლა-ინტერნატები ახლახან შეიქმნა. მათი მუშაობის თავისებურებანი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მაგრამ ერთი მაინც ცხადია: აქ განათლებული, გამოცდილი, თავისი საქმის მცოდნე პედაგოგები და აღმზრდელები უნდა ინიშნებოდნენ. ამ მხრივ ცუდად არ არის საქმე თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატში, სადაც ბევრი გამოცდილი პედაგოგი და აღმზრდელი მუშაობს. ისინი თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას არ ზოგავენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ განათლებული, შრომისმოყვარე ახალგაზრდობა აღზარდონ. აღმზრდელ-მასწავლებელთა სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ სკოლაში ადგილი არა აქვს ბავშვთა უდისციპლინობას, ერთმანეთისადმი ცუდ დამოკიდებულებას.

აღმზრდელ-მასწავლებელთა ვალია ბავშვებს ისე მოეპყრონ, რომ მათ არ იგრძნონ უდედმამობა. სკოლა-ინტერნატში ამას კარგად ახერხებს გამოცდილი მასწავლებელი ქ. მორბედაძე. მოსწავლეთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა ე. ებრალიძემ, ე. წიკლაურმა, ა. მემანიშვილმა, მ. ყორყოლიანმა, რ. მიქირტუმაშვილმა, ქ. ჩხაიძემ, ნ. კვარაცხელიამ და სხვ.

საძინებელ და სასადილო ოთახებში ყოველთვის სისუფთავე სუფევს, ვერ ნახავთ მოსწავლეებს, რომლებიც უსუფთაოდ ან უწესოდ იყვნენ ჩაცმული. სკოლა-ინტერნატში ცალკეული ჯგუფების ყოველკვირეული მორიგეობაა შემოღებული. მოსწავლეები მორიგეობენ სასადილოში, სამზარეულოში, სკოლაში და საძინებელ ოთახებში.

ორთვენახევარზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა მხიარული, ხალისიანი ცხოვრება დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში აღმზრდელთა და პედაგოგთა კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. აქ მოსწავლეები მეგობრობის მაღალი გრძნობით იზრდებიან.

უფრო უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, სკოლა-ინტერნატში შექმნილი რომ იყოს ბავშვთა კოლექტივის საბჭო და კომისიები, გაშლილი იყოს სპორტული საქმიანობა, ეწყობოდეს მხატვრული თვითმოქმედების [illegible] საღამოები, [illegible] სო წიგნების კითხვა-განხილვა, შეკრებები და სხვ. სკოლა-ინტერნატში პიონერული მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ორიოდე სიტყვა პოლიტექნიკურ სწავლებაზე. სკოლა-ინტერნატში ეს საქმე კარგად უნდა იყოს დაყენებული. რა კეთდება ამ მხრივ აქ? გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არაფერი. სახელოსნოებს ორი ოთახი აქვს გამოყოფილი და შიგ არავითარი მოწყობილობა არ არის დადგმული. აგრონომი ჰყავთ, მაგრამ სასწავლო-საცდელი ნაკვეთი არა აქვთ.

მართალია, სკოლა-ინტერნატს მრავალი ნაგებობა გადაეცა, მაგრამ ბავშვთათვის საცხოვრებელი ფართობი მაინც არ ყოფნით. თვითეულ ბავშვზე ინსტრუქციის მიხედვით დადგენილი 4 კვადრატული მეტრის ნაცვლად მხოლოდ 2 კვადრატული მეტრი ფართობი მოდის. ამასთან გოგონების საძინებელი ოთახი მოთავსებულია სასწავლო კორპუსში, რაც სწავლების ნორმალურ პირობებზე უარყოფითად მოქმედებს. სკოლა-ინტერნატს დიდი რაოდენობით ესაჭიროება რბილი და მაგარი ინვენტარი, მაგრამ მის შესაძენად სახსრები არ გააჩნია. ტრანსპორტის უქონლობის გამო სურსათით მომარაგების საქმეც ფერხდება.

80 მეტრ მანძილზე მდებარეობს მთავარი წყალსადენი, სკოლა-ინტერნატს კი წყალი არა აქვს. განათლების სამინისტროს სარემონტო კანტორამ ისე უხარისხოდ ჩააწყო მილები, რომ შიგ წყალი ვერ გადის. სკოლა-ინტერნატში დაბალხარისხოვნად შესრულდა აგრეთვე სხვა სამუშაოები.

სკოლა-ინტერნატი ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებაა, მისი მუშაობის პირველ ხანებში მრავალი მეთოდური ხასიათის საკითხი წამოიჭრება, რომელთა გადაწყვეტა ადგილობრივი ძალებით შეუძლებელია. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ამ მხრივ ნაკლებ დახმარებას უწევს სკოლა-ინტერნატს. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში სამინისტროდან არავინ ჩამოსულა ადგილზე.

თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატს მეტი დახმარება და ყურადღება სჭირდება. ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ.

**რ. დავითური,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „გორდის სკოლა-ინტერნატი"

„კომუნისტის" 4 სექტემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებული წერილი ეხებოდა წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის სკოლა-ინტერნატის მუშაობის ზოგიერთ ნაკლს.

საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის ბიურომ „კომუნისტის" კრიტიკა სწორად ცნო. რაიკომმა საჭირო ღონისძიებანი განახორციელა წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ამუშავდა 60 ცხენძალიანი მოძრავი ელექტროსადგური, სკოლა-ინტერნატი ამჟამად უზრუნველყოფილია განათებით. საექსპლოატაციოდ გადაეცა აბანო-სამრეცხაო; მოსწავლეები მომარაგებული არიან საზამთრო ტანსაცმლით. სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოებისათვის შეძენილია ხელსაწყო-იარაღები, მოეწყო სასპორტო მოედანი. მიღებულია ზომები მასწავლებელთა სახლისა და სახელოსნოს მშენებლობის დასამთავრებლად.

# ხალხის მრავალფეროვანი და უკვდავი შემოქმედება

### ქართული ფოლკლორის საკითხებზე პირველი სამეცნიერო რესპუბლიკური თათბირისათვის

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოითხოვენ ისტორიულ პროცესში ხალხის მასების მნიშვნელობისა და როლის სრული სახით ჩვენებას. ამასთან არის დაკავშირებული ფოლკლორისტების საპატიო ამოცანა, რომ მათ მთელი სიღრმით აჩვენონ მშრომელი მასების ჭეშმარიტად ამოუწურავი შემოქმედებითი ენერგია და შესანიშნავი მიღწევები მხატვრული აზროვნების სფეროში.

კოლექტიური შემოქმედება მუდამ თან ახლავს ხალხის ისტორიას. თვითეული ერი თავისი არსებობის გარიჟრაჟიდანვე იწყებს შემოქმედებას, თანდათან იპყრობს პოეტური აზროვნების მწვერვალებს და ქმნის გენიალურ მხატვრულ სახეთა მთელ პლეადას. ხალხი არის შემქმნელი ისეთი საუკუნეობრივი მნიშვნელობის ნაწარმოებებისა, როგორიცაა ბაბილონური გილგამეშიანი, ბერძნული პრომეთეს მითი, ფრანგული როლანდის სიმღერა, რუსული ილია მურომეცის ბილინა, ქართული ამირანიანი, ეთერიანი, ნაცარქექია, ფინური კალევალა, სომხური თქმულება დავით სასუნცზე და მრავალი სხვა.

ქართველი ხალხი სამართლიანად იხსენიება ძველი ისტორიისა და მდიდარი წარსულის მქონე ხალხებს შორის. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან კულტურაში ხალხურ შემოქმედებას უდავოდ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ქართული ზეპირსიტყვიერი პოეტური შემოქმედება, მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, სახვითი ხელოვნება დიდ მოწონებას იმსახურებს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საბჭოთა კავშირის საზღვრებს გადაღმაც. მრავალფეროვანი ფოლკლორი ჩვენი ეროვნული კულტურის ძვირფასი საუნჯეა. მან სამართლიანად მოიპოვა საერთო აღიარება. ამის მიზეზია ერთი მხრივ მისი ღრმა ეროვნული თავისებურება, ხოლო მეორე მხრივ საკაცობრიო მნიშვნელობა. თავისი მდიდარი შინაარსითა და სრულქმნილი ფორმით მაღალ დონეზე დგას ქართული სიმღერები, ცეკვები, ზეპირპოეტური ქმნილებები და სახვითი ხელოვნების ნიმუშები.

ჩვენი ხალხის წარსულსა და აწმყოს უშუალოდ განგვაცდევინებენ ქართლკახური, რაჭული და მეგრული ღრმა მგრძნობიერი მელოდიები, სვანური ვაჟკაცური გუგუნი, იმერული და გურული მკვირცხლი სიმღერები; ორ-სამ სართულიანი ფერხულები, ნარნარი სამაია, ცეკვა ქართული; საგმირო ეპოსი, ფილოსოფიური სიბრძნის შემცველი ანდაზები, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ლირიკა და ნივთიერი ფოლკლორის ბევრი ნიმუში. ამის გამო გასაგებია ის დიდი ინტერესი, რასაც ხალხური შემოქმედებისადმი ადრიდანვე იჩენდნენ გამოჩენილი მწერლები, ისტორიკოსები, ხუროთმოძღვრები. ასეთი შეუნელებელი ინტერესის ამსახველი მასალა შემონახულია ძველ წერილობით წყაროებსა და მატერიალური კულტურის ძეგლებში.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი ფოლკლორული შემოქმედებისადმი. მან განსაკუთრებული გაქანება მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირობებში. რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა იდეებით შთაგონებული ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, თედო რაზიკაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ლადო აღნიაშვილისა და სხვათა სახით ზეპირ შემოქმედებას ფართო მასებში პროგრესული იდეების დანერგვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად თვლიდნენ. სიტყვიერ ფოლკლორთან ერთად მუსიკალურ ფოლკლორს კრებდნენ ფ. ქორიძე, ა. ბენაშვილი, ზ. ჩხიკვაძე, მ. ბალანჩივაძე, ი. კარგარეთელი, დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი და სხვ. ქართული კულტურის ეს გამოჩენილი მოღვაწეები დაუღალავად აგროვებდნენ, აქვეყნებდნენ და სწავლობდნენ ზეპირსიტყვიერებას.

მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე ხალხური შემოქმედების შეკრებისა და შესწავლის საქმე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დადგა. ყოველწლიურად ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები და მივლინებები, შეკრებილია ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის მრავალი ათეული ათასი ტექსტი. ჩაწერილია და ნოტებზე გადატანილია მრავალი სიმღერა. სისტემატურად ტარდება ხალხური შემოქმედების ოლიმპიადები, შემსრულებელ ოსტატთა დათვალიერებანი.

ქართული ხალხური შემოქმედების აყვავებისათვის, შეკრებისა და შესწავლისათვის გაწეულია დიდი მუშაობა, მაგრამ გასაკეთებელი გაცილებით მეტია, ვიდრე გაკეთებული. ქართველ ფოლკლორისტთა ამოცანაა ღრმად დაეუფლონ კვლევის მარქსისტულ-ლენინურ მეთოდს, სავსებით დაძლიონ ერთიანი ნაკადის მცდარი თეორია და ნათლად გვიჩვენონ, რომ ზეპირი პოეტური შემოქმედების განვითარებაში იყო სხვადასხვა მიმდინარეობათა ბრძოლა, ამ ჭიდილში რეაქციულ შეხედულებებს ძლევდა პროგრესული. ამგვარ შეუნელებელ ბრძოლაში წარმოიშვა, განვითარდა და დაიხვეწა ისეთი ხალხური ძეგლები, როგორიც არის კლასიკური თქმულებანი ამირანისა, აბესალომისა და ეთერისა, მრავალი საისტორიო ნაწარმოები, ხალხური პროზა. შეუნელებელ შემოქმედებითს დუღილში ჩამოყალიბდა განუმეორებელი სიმღერები ლილე, ჩაკრულო, მრავალჟამიერი, ვახტანგური, ოდოია და სხვ. განვითარდა ქორეოგრაფია — ხორუმი, ზემყრელო, სამაია, ქართული.

ფოლკლორის მეცნიერულ შესწავლაში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ლენინის მოძღვრებას თვითეულ ეროვნულ კულტურაში ორი კულტურის არსებობის შესახებ. დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ნაკადში ქართულ ზეპირსიტყვიერებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი გამოხატავს მშრომელი მასების მისწრაფებებს, მის შეუნელებელ ბრძოლას ექსპლოატატორთა და დამპყრობელთა წინააღმდეგ, თავისუფლების სიყვარულსა და პატრიოტიზმს.

ხალხური იდეები და ხალხის მისწრაფებები ყოველთვის იმარჯვებდა დამპყრობთა და ექსპლოატატორთა რეაქციულ შეხედულებებზე. დამწერლობის საშუალებებს მოკლებული მშრომელები განსაკუთრებული ძალით ავითარებდნენ ზეპირსიტყვიერებას, ამდიდრებდნენ მას განმათავისუფლებელი იდეებით და შთაბერავდნენ თავის უკვდავ გმირულ სულს. თაობიდან თაობაზე გადმოდიოდა ანტიფეოდალური შინაარსის ნაწარმოებები. მარაბდელი ყმაგლეხის არსენა ოძელაშვილის სახე ბატონყმობის წინააღმდეგ რაზმავდა ქართველ გლეხობას; 1905 წლის რევოლუციის პერიოდში შექმნილი პარტიზანული პოეზია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის ამზადებდა ხალხს. დიდი სამამულო ომის პერიოდში ფოლკლორული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ვერაგი მტრის განადგურებისათვის აღაფრთოვანებდა ფრონტზე საბჭოთა მეომრებს, ხოლო ზურგში ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის მომუშავე მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას.



სურათზე: პროფესორი მ. ჩიქოვანი სოფელ უდეში (ადიგენის რაიონი) კოლმეურნე მთქმელებისაგან იწერს ხალხურ ნაწარმოებებს.

დიდია ფოლკლორის შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. დროულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ ქართული ფოლკლორის საკითხებზე რესპუბლიკური თათბირის მოწვევა. თათბირი მოისმენს რამდენიმე ათეულ მოხსენებასა და გამოსვლას. თათბირის სამეცნიერო თემატიკა მრავალფეროვანია, იგი მოიცავს როგორც სიტყვიერი, ისე მუსიკალური და ნივთიერი ფოლკლორის საკითხებს. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერები, მწერლები, მუსიკისმცოდნეები, პედაგოგები, სახალხო მთქმელები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები.

იმ პირველხარისხოვან ამოცანათა შორის, რომლებიც დღეს ქართული ფოლკლორისტიკის წინაშე დგას, უპირველესი ადგილი კვლავ ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრებას უჭირავს. შემსრულებელთა ძველი კადრები თანდათანობით მცირდებიან, ცხოვრების ჩქარი ტემპებით წინსვლა ხელს უწყობს ხალხური შემოქმედების არსებული მარაგის შეცვლას; დავიწყებას ეძლევა წარსულის ამსახველი ბევრი მხატვრული ნაწარმოები, ამის გამო საჭიროა დავაჩქაროთ საქართველოს რაიონების გეგმაზომიერი შესწავლა თანამედროვე ტექნიკის მიხედვით აღჭურვილი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების საშუალებით. საჭიროა გახშირდეს ექსპედიციები და მივლინებები, გაფართოვდეს ადგილებზე მომუშავე კორესპონდენტთა ქსელი, მოეწყოს ტიპიურ შემსრულებელთა გამოძახება მათთან საკვლევაძიებო მუშაობის წარმოებისათვის, განხორციელებულ იქნას ღონისძიებანი გამოჩენილ მთქმელთა წახალისების მიზნით, მოეწყოს საჯარო გამოსვლები, ხალხური შემოქმედების საღამოები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია შემკრებლობითი მუშაობა წარმოებს და შექმნილია დიდძალი მასალების შემცველი ძვირფასი არქივები და კოლექციები, ფოლკლორის პუბლიკაციის საქმე ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელია. ფოლკლორულ გამოცემებს არასისტემატური ხასიათი აქვს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის „ხალხური სიტყვიერების" სერიის კრებულები ნელი ტემპით იბეჭდება. საჭიროა მოკლე ხანში დამუშავდეს ქართული ხალხური პროზისა და პოეზიის, მუსიკალური და ნივთიერი ფოლკლორის სისტემატური გამოცემის სახელმწიფო გეგმა; გეგმის მიხედვით ტექსტების დასაბეჭდად მომზადება უნდა დაევალოს მეცნიერებათა აკადემიას, ხოლო მისი გამოქვეყნება ერთ-ერთ გამომცემლობას. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ქართული ფოლკლორის რუსულ ენაზე გამოცემა. სამწუხაროდ, დღემდე რუსულ ენაზე გამოქვეყნებული არ არის ქართული ეპოსის ისეთი კლასიკური ნიმუშებიც კი, როგორიც არის ამირანიანი და ეთერიანი, ისტორიული სიტყვიერება, მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობა.

ქართული ფოლკლორის საკითხებზე სამეცნიერო თათბირის მოწვევას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს შეუწყობს ამ დარგში მომუშავეთა კოორდინაციას, განიხილავს თანამედროვე ფოლკლორისტიკის აქტუალურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, მოახდენს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას და დააჩქარებს ქართული ფოლკლორის იმ მიმართულებით შესწავლას, რომელიც აუცილებელია საბჭოთა კავშირის ხალხების მხატვრული შემოქმედების შედარებით-ისტორიული შესწავლის თვალსაზრისით.

**პროფესორები: მ. ჩიქოვანი, ქ. სიხარულიძე, გ. ჩხიკვაძე, დოცენტი ე. ვირსალაძე.**

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

## ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის განხილვა

[illegible]

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. პრეოტიასამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიამ მთელი მსოფლიოს სერიოზული შეშფოთება გამოიწვია, რადგან ეს სამხედრო ავანტიურა შეიცავს მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს. პრეოტიასამ განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მხარს უჭერს აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიერ შეტანილ რეზოლუციას და მოითხოვს აგრესორთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ეგვიპტის ტერიტორიიდან.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ბრუსტრამ გაილაშქრა აზიისა და აფრიკის ქვეყნების რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ლოჯმა აგრეთვე განაცხადა, რომ ამჟამად ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა არხის გაწმენდა და რომ საჭირო არ არის არხის გაწმენდის სამუშაოთა დაწყება გადაიდოს ეგვიპტის ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების სრულ გაყვანამდე. მან მოითხოვა მიიღონ ექვსთა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ავალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს განაგრძოს მოლაპარაკება არხის გაწმენდის სამუშაოთა დაწყების შესახებ. ლოჯმა აგრეთვე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია მხარს დაუჭერს არაბთა და აზიის ქვეყნების რეზოლუციის გადასინჯულ პროექტს.

ეს გადასინჯული პროექტი გავრცელდა დილის სხდომის დასაწყისში. მასში აღარ არის თავდაპირველი განცხადება, რომ გენერალური ასამბლეა „დიდად შეშფოთებულია" იმით, რომ ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი არ ასრულებენ ასამბლეის რეკომენდაციებს ეგვიპტის ტერიტორიიდან თავიანთი ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ. რეზოლუციის თავდაპირველი ვარიანტის ერთ-ერთი თანაავტორი — ეგვიპტე აღარ არის გადასინჯული პროექტის თანაავტორთა შორის.

რეზოლუციის პროექტი აშკარად იმისათვის შეცვალეს, რომ იგი მისაღები გახადონ მთელი რიგი დელეგაციებისათვის, რომლებიც, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მსგავსად, არ არიან იმის წინააღმდეგი, რომ დაადასტურონ ასამბლეის წინანდელი რეკომენდაციები, მაგრამ არა სურთ ხმა მისცენ ტექსტს, რომელშიც თუნდაც გაკვრით იქნება ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის დაგმობა.

21 ქვეყნის რეზოლუციას მხარი დაუჭირა ტუნისის წარმომადგენელმა ბურგიბამ, რომლის ქვეყანა შედის ამ 21 ქვეყანაში.

ინდოეთის წარმომადგენელმა კრიშნა მენონმა მოითხოვა დაუყოვნებლივ უყარონ კენჭი რეზოლუციის ორივე პროექტს, მაგრამ არ შეწყვიტონ კამათი ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება, თქვა მან, უაღრესად საჭიროა გენერალური ასამბლეის წინანდელი რეზოლუციების შესასრულებლად და ეგვიპტის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ლოიდი ამტკიცებდა, რომ ინგლისს სურს „კონსტრუქციულად ითანამშრომლოს" გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და ამჯობინებს, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს ინგლისისათვის „მისაღები" რეზოლუცია ეგვიპტიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

ინგლისისა და აგრესიაში მისი პარტნიორების დასახმარებლად, როგორც ჩვეულებრივ, გამოვიდა ბელგიის დელეგატი სპააკი. მან თქვა, რომ განზრახული აქვს „გააუმჯობესოს" აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიერ შეტანილი პროექტი, რათა იგი მისაღები გახდეს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელისათვის. სპააკმა წინადადება წამოაყენა შეტანილ იქნას რე-

[illegible]

სპააკს საკადრისი პასუხი გასცა სირიის წარმომადგენელმა ზეინ ედ-დინმა. სპააკის შესწორებებს მან უწოდა „ფანდი". ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის წარმომადგენლები ახლა ცდილობენ, თქვა სირიის წარმომადგენელმა, დახლართონ საკითხი ყოველგვარი შენიშვნებითა და პირობებით. სპააკის შესწორებები — ეს არის აგრესორთა მისწრაფება განამტკიცონ ასეთი გაურკვევლობა. ასეთი ფანდებით შეცდომაში ვერ შეგვიყვანენ.

სალვადორის წარმომადგენელმა ურკიამ განაცხადა, რომ ბელგიის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი შესწორებები ამახინჯებენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების რეზოლუციის პროექტის აზრს. მან თქვა, რომ ხმას მისცემს ბელგიის შესწორებათა წინააღმდეგ, ხმას მისცემს პროექტს, რომელიც აზიისა და აფრიკის ქვეყნებმა წარმოადგინეს.

სუდანის დელეგატმა მაჰჯუბმა გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ საპროცედურო მაქინაციების შედეგად დილის სხდომაზე სპააკს საშუალება მისცეს შემოეტანა სრულიად უადგილო შესწორებები. სუდანის წარმომადგენელმა სპააკის შესწორებები დაახასიათა როგორც უხეში ცდა საბოტაჟი გაუწიონ გენერალური ასამბლეის წინანდელ რეზოლუციებს.

მკაფიო სიტყვა, რომელშიც ამხილა სპააკის მანევრი, წარმოთქვა ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა კრიშნა მენონმა. თავისი სიტყვის დასაწყისში მენონმა მოაგონა სპააკს, რომ იგი გამოდის იმ ქვეყნის სახელით, რომელმაც წარსულში განიცადა აგრესია. მენონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპააკის შესწორებების მიზანია აგრესორთა გამართლება და ამიტომ ეს შესწორებები სრულიად მიუღებელია აზიისა და აფრიკის ქვეყნების რეზოლუციის პროექტის თანაავტორებისათვის.

ინდოეთის დელეგატის შემდეგ გამოვიდა იორდანიის წარმომადგენელი რიფაი. მან შეიტანა წინადადება ეგვიპტეში გამწვავებული მდგომარეობის გამო დაუყოვნებლივ დაიწყოს კენჭისყრა რეზოლუციის პროექტებისა ეგვიპტეში აგრესიის საკითხზე.

სახელობითი კენჭისყრის შედეგად ბელგიის შესწორებები უარყოფილ იქნა 37 ხმით. ამ შესწორებებს ხმა მისცა 23 დელეგაციამ, 18 დელეგაციამ თავი შეიკავა. შესწორებას ხმა მისცეს იმ ქვეყნების დელეგატებმა, რომლებმაც მოახდინეს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, — ინგლისის, საფრანგეთის, ისრაელის დელეგატებმა, აგრეთვე თურქეთის, ჰოლანდიის, სამხრეთ აფრიკის კავშირისა და ევროპის და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის დელეგატებმა. იმათ შორის, ვინც თავი შეიკავა, იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები.

შემდეგ კენჭი უყარეს აზიისა და აფრიკის სახელმწიფოთა რეზოლუციის პირველ ნაწილს, რომელიც მოითხოვს აგრესორთა ძალების დაუყოვნებლივ გაყვანას ეგვიპტიდან და სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ინგლისს, საფრანგეთსა და ისრაელს ჯერ კიდევ არ შეუსრულებიათ გენერალური ასამბლეის ეს მოთხოვნა. სახელობითმა კენჭისყრამ ცხადყო აგრესორთა სრული იზოლაცია. რეზოლუციის ამ ნაწილის წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ ხუთმა დელეგაციამ — სამმა აგრესორმა ქვეყანამ, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ.

იმ დელეგატებმაც კი, რომლებიც, სპააკის მსგავსად, დისკუსიის დროს ცდილობდნენ გაემართლებინათ აგრესორები და მიეღწიათ, რომ რეზოლუციიდან ამოეღოთ მთავარი ნაწილი, ვერ დაინახეს შესაძლებლად ხმა მიეცათ მის წინააღმდეგ და კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს.

მთლიანად რეზოლუცია მიღებულ იქნა 65 ხმით. 9 დელეგაციამ თავი შეიკავა.

# მდგომარეობა პორტ-საიდში

ქაირო, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ინგლისის ჯარები გუშინ გარს შემოერტყნენ პორტ-საიდის არაბთა უბნებს, რათა არ დაეშვათ ახალი საპროტესტო დემონსტრაციები ქალაქში ოკუპანტების თარეშის წინააღმდეგ, აგრეთვე დაეშინებინათ მოსახლეობა.

როგორც გაზეთები იუწყებიან, მიუხედავად რეპრესიებისა და დევნისა ინგლის-საფრანგეთის სარდლობის მხრივ, ეგვიპტელი პატრიოტები სახლების კედლებზე აკეთებენ წარწერებს, რომლებშიც გამოთქმულია მათი სიძულვილი დამპყრობლებისადმი და სიყვარული სამშობლოსადმი.

# ერთობლივი კომუნიკე რუმინეთ-უნგრეთის მოლაპარაკების შესახებ

[illegible] 1956 წლის 22 ნოემბერს. ერთობლივ კომუნიკეს ხელს აწერენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის სახელით გ. გეორგიუ-დეჟი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის სახელით ი. კადარი.

მოლაპარაკების მსვლელობაში, ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც მიმდინარეობდა გულწრფელი მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით, მთავრობათა დელეგაციებმა გაუზიარეს ერთმანეთს აზრი იმ ვითარების შესახებ, რომელიც შეიქმნა უნგრეთში უკანასკნელ კვირეებში მომხდარი ამბების შედეგად, აგრეთვე ახლანდელი საერთაშორისო პრობლემების შესახებ.

რუმინეთის მთავრობის დელეგაციამ კმაყოფილება გამოთქვა გადამწყვეტ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელთა შედეგადაც უნგრეთის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ გაანადგურა კონტრრევოლუციური პუტჩის ცდა, რომლის მიზანი იყო სახალხო-დემოკრატიული წყობილების ლიკვიდაცია და მემამულეთა და კაპიტალისტთა რეჟიმის აღდგენა. რუმინეთის მთავრობა სიხარულით მიესალმება ღონისძიებებს, რომლებიც განახორციელა უნგრეთის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ მეგობარ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში კანონიერებისა და სიმშვიდის აღსადგენად და სახალხო-დემოკრატიული წყობილებისა და მშრომელების სოციალურ მონაპოვართა დასაცავად. ორივე მთავრობა თანახმაა, რომ კონტრრევოლუციური ძალების წარმატება ომის კერად გადააქცევდა უნგრეთს. უეჭველია, რომ წამქეზებელი შოვინისტური ძალები შეეცდებოდნენ კვლავ ჩამოეგდოთ მტრობა უნგრელ და რუმინელ ხალხებს შორის.

ორივე მთავრობის დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონტრრევოლუციის განადგურებისათვის, იმისათვის, რომ არ დაეშვათ ფაშისტური დიქტატურის დამყარება, უნგრელი ხალხის დემოკრატიულ და სოციალურ მონაპოვართა დაცვისათვის აუცილებელი და სწორი იყო უნგრეთის მთავრობის გადაწყვეტილება ეთხოვა სუვერენული უფლებების შესაბამისად საბჭოთა ჯარების დახმარება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების და ყველა ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპების საფუძველზე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გადაჭრით გამოთქვეს აზრი, რომ უნგრეთის შემდგომი განვითარების საკითხები მხოლოდ და მხოლოდ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ორგანოების კომპეტენციას შეადგენს. ორივე მთავრობა აფასებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისწრაფებას დაეხმაროს უნგრელ ხალხს, რომელმაც ასეთი ტანჯვა გადაიტანა, მაგრამ ისინი არ ეთანხმებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ანგარიშს არ უწევს წესდებას და ნიშნავს უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევას. კანონიერების აღდგენა, ფაშიზმის დამარცხება, უცხოური ჯარების თავიდან აცილება შეესაბამება იმ ვალდებულებებს, რომლებიც უნგრეთმა იკისრა პარიზის საზავო ხელშეკრულებით და მხოლოდ და მხოლოდ უნგრეთის მთავრობის კომპეტენციას შეადგენს. კომუნიკეში ასახულია ორივე ქვეყნის მთავრობათა თვალსაზრისის ერთობა საერთო საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში, როგორიც არის ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის პრობლემები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების აუცილებლობის, ომის მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების აკრძალვის საკითხი და სხვ.

ორივე ხალხის ინტერესებისა და ნების შესაბამისად, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, ორივე ქვეყნის მთავრობები გამოთქვამენ ურყევ გადაწყვეტილებას — გააღრმავონ და განავითარონ უანგარო მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის ურთიერთობა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ეს მომავალშიც შეუწყობს ხელს სახალხო დემოკრატიის რეჟიმის განმტკიცებასა და განვითარებას, რომელიც ორივე მეზობელმა ხალხმა ბრძოლით მოიპოვა, და ამავე დროს წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისა და სოციალისტური განვითარების მტკიცე გარანტიას.

უნგრეთის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ უაღრესად გულწრფელი მადლობა გამოთქვა პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერისათვის, მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარებისათვის, რომელიც რუმინელმა ხალხმა და რუმინეთის მუშათა პარტიამ გაუწიეს უნგრეთს სახალხო-დემოკრატიული წყობილების დასაცავად და სერიოზულ ეკონომიურ სიძნელეთა დასაძლევად. უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თხოვნით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, გარდა დღემდე გაწეული დახმარებისა, 60 მილიონი მანეთი კრედიტი მისცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას ყველაზე საჭირო საქონლის შესასყიდად.

მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაღრმავდეს თანამშრომლობა რუმინეთის მუშათა პარტიასა და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას შორის, რაც რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საფუძველია.

უნგრეთის ამბებმა კვლავ დაგვანახვა, ნათქვამია კომუნიკეში, რომ სოციალისტური ქვეყნების ურღვევი ერთიანობა, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიიდან გამომდინარეობს, რუმინელი და უნგრელი ხალხების, აგრეთვე იმ სხვა ხალხების დამოუკიდებლობისა და მშვიდობიანი განვითარების საიმედო გარანტიაა, რომლებიც სოციალისტური ქვეყნების დიად ოჯახს შეადგენენ.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სიმპათიასა და მეგობრობას უცხადებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობას და გამოთქვამს რწმენას, რომ მეგობარი სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერით და მათთან თანამშრომლობით უნგრელი ხალხი დაძლევს ყველა სიძნელეს და წარმატებით წავა წინ ბედნიერი ცხოვრების შექმნის გზით, სოციალიზმის მშენებლობის გზით.

# უნგრეთის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ბუდაპეშტი, 24 ნოემბერი. (საკდესი). დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის მისიას ბუდაპეშტში გაუგზავნა საპროტესტო ნოტა უნგრეთის სუვერენულ უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ, რაც იმით გამოიხატება, რომ ბუდაპეშტში ამერიკის მისიის შენობაში მუშაობს ორი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური, რომელთა საშუალებით ხორციელდება რადიოკავშირი ამერიკის მისიასა და უცხოეთს შორის. ამ სადგურთაგან არც ერთი არ არის რეგისტრირებული უნგრეთის შესაბამის ორგანოებში.

# ინგლისელ ხელისუფალთა ახალი რეპრესიული ღონისძიება კვიპროსზე

ლონდონი, 25 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ინგლისელმა ხელისუფლებმა კვიპროსზე გამოსცეს ახალი დადგენილება, რომელიც გუბერნატორს უფლებას აძლევს აკრძალოს ყოველი ისეთი გამოცემის გაყიდვა და გავრცელება, რომელიც გამოაქვეყნებს ხელისუფლებისათვის „არასასურველ" მასალებს, და ამა თუ იმ ორგანოს გამოცემაც კი აკრძალოს.

კვიპროსის ორმა წამყვანმა გაზეთმა „ტაიმს ოფ საიპრესმა" და „საიპრეს მეილმა", რომლებიც ინგლისურ ენაზე გამოდის, ინგლისის მთავრობას პროტესტი გაუგზავნა ამ დადგენილების წინააღმდეგ, ამასთან განაცხადა, რომ „ეს დადგენილება მოსპობს პრესის თავისუფლების უკანასკნელ ნაშთს". ამ გაზეთების სიტყვით, დადგენილება „გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გამოქვეყნდეს ხელისუფლებისათვის არასასიამოვნო რაიმე ფაქტი, ისე რომ არ შეიქმნას გაზეთის დაუყოვნებლივ დახურვისა და მისი რედაქტორის დაპატიმრების ან მისი დაჯარიმების საფრთხე".

# XVI ოლიმპიურ ასპარეზობაზე

მელბურნი, 24 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ოლიმპიურ ასპარეზობაზე გაიმართა მსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრება. სსრ კავშირის გუნდისაგან გამოდიოდა იგორ რიბაკი. მოაგროვა რა სამჭიდში 380 კილოგრამი, რიბაკმა დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი და ოქროს მედალი მოიპოვა.

საბჭოთა სპორტსმენმა თევდორე ბოგდანოვსკიმ სამჭიდში მოაგროვა 420 კილოგრამი და ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. მან მოიპოვა ოქროს მედალი.

მატჩი სსრ კავშირისა და გერმანიის ფეხბურთელთა გუნდებს შორის დამთავრდა ანგარიშით 2:1 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ, რომელიც გავიდა მეოთხედფინალში.

ამერიკელმა გ. კონოლიმ ურო ტყორცნა 63 მეტრსა და 19 სანტიმეტრზე. მან ოქროს მედალი მოიპოვა. მ. კრივონოსოვმა (სსრ კავშირი) შედეგით 63 მეტრი და 0,3 სანტიმეტრი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მწვავე ბრძოლით ჩაიარა ვაჟთა ფინალურმა თარჯრბენმა 400 მეტრზე. გაიმარჯვა ამერიკელმა სპორტსმენმა გლენ დევისმა.

ვაჟთა ფინალურ გარბენში 100 მეტრზე გაიმარჯვა ამერიკელმა სპრინტერმა ბ. მოროუმ (10,5 წამი).

წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენი ქალები ნახევარფინალურ გარბენში 100 მეტრზე. ისინი ვერ მოხვდნენ ფინალში.

დაძაბულად მიმდინარეობდა შეჯიბრება სპორტულ სიარულში 50 კილომეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა ახალზელანდიელმა მძლეოსანმა ნ[illegible].

ვაჟთა ფინალურ შეჯიბრებაში [illegible] გ. ბელ[illegible] სანტიმეტრი.

გრძელდებოდა წინასწარი შეჯიბრება კალათბურთში. დღევანდელი დღის ცენტრალური შეხვედრა იყო საფრანგეთისა და სსრ კავშირის კალათბურთელთა შეჯიბრება. საერთო ანგარიშით 76:67 საფრანგეთის კალათბურთელთა სასარგებლოდ.

დღეს გრძელდებოდა მოკრივეთა წინასწარი შეჯიბრება. მეორე საშუალო წონაში საბჭოთა სპორტსმენი ე. ბორისოვი შეხვდა ევროპის ჩემპიონს ნ. გარგანოს (ინგლისი). ქულებით გაიმარჯვა ინგლისელმა სპორტსმენმა. მძიმე წონის საბჭოთა მოკრივეს ლ. მუხინს მიეკუთვნა გამარჯვება ბულგარელ მოკრივე ბ. ლოზანოვთან. ცნობილმა პოლონელმა მოკრივემ ე. პეტშიკოვსკიმ ქულებით დაამარცხა რ. კარპოვი (სსრ კავშირი).

დამთავრდა ვაჟთა გუნდური შეჯიბრება რაპირაში. გადამწყვეტ შეხვედრაში იტალიელმა მოფარიკავეებმა საფრანგეთის სპორტსმენები დაამარცხეს ანგარიშით 9:7 და მოიპოვეს ოქროს მედლები.

დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა სულ მოიპოვეს 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი.

# საერთაშორისო მატჩი თბილისში

25 ნოემბერს თბილისში ირანელ ფეხბურთელთა პირველმა გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე „დინამოს" სტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით.

ნაშუადღევის 2 საათია. საზეიმო მარშის ხმაზე მოედნის ცენტრისაკენ მწყობრი ნაბიჯით მიემართებიან საერთაშორისო ამხანაგურ ასპარეზობაში მონაწილე სპორტსმენები — თეირანისა და თბილისის ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივები.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. საპასუხო მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ირანის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი ბ-ნი რაჰბარი.

ჟღერს ირანისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

თბილისელმა ფეხბურთელებმა სტუმრებს თაიგულები უძღვნეს. მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად ირანელმა სპორტსმენებმა ეს თაიგულები სტადიონის ტრიბუნებში გადაისროლეს.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ბახრამოვის (ბაქო) სასტვენის ხმაზე იწყება თამაში.

ასპარეზობამ თავიდანვე საინტერესო სახე მიიღო. პირველი წუთები ორმხრივი იერიშით აღინიშნა. თანდათანობით თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და თამაში სტუმართა საჯარიმო მოედანზე გადაიტანეს. თეირანელი მცველები კარგად იცავდნენ კარს. 28-ე წუთზე მასპინძლებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ქუასელის ძლიერი დარტყმით და გოლით დამთავრდა.

45 წუთი ამოიწურა. პირველი ტაიმის შედეგი იყო 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

შეჯიბრების მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა რამდენიმე მოთამაშე შეცვალეს. სტუმრები მეტი მონდომებით იბრძოდნენ. მცველებიდან გამოირჩეოდნენ არეფი და არფანი, თავდამსხმელებიდან — ჯედიკარი და გუნდის კაპიტანი ბრუმანი. მეორე ტაიმის ორმოცმა წუთმა უშედეგოდ განვლო. მაყურებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სტადიონიდან აიშალა იმ ვარაუდით, რომ ანგარიში არ შეიცვლებოდა, მაგრამ 42-ე და 43-ე წუთებზე თბილისელებმა (მესხი, კალოევი) მოწინააღმდეგის კარში 2 ბურთი გაიტანეს.

ეს საინტერესო მატჩი, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა თბილისის ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

# XXIV საკავშირო პირველობის ნახევარფინალი

მეხუთე ტურით, რომელიც შედგა 24 ნოემბერს, დამთავრდა ტურნირის პირველი მეოთხედი. ამ დღეს პირველად დამთავრდა ბაქოელი ხალილბეილის შეხვედრა ლენინგრადელ ფურმანთან. უხეში შეცდომის შედეგად ხალილბეილმა მე-10 სვლაზე დაკარგა მხედარი და დათმო პარტია. ანტოშინმა მეორე დამარცხება განიცადა სახაროვთან. ზურახოვმა მოუგო ტალს.

ყაიმით დამთავრეს შეხვედრები: გურგენიძემ — ვორონკოვთან, კოტკოვმა — პოლუგაევსკისთან და კროგიუსმა — გუფელდთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

25 ნოემბერს გადადებული პარტიების დამთავრებამ სატურნირო ცხრილში სიცხადე შეიტანა. გაუთამაშებლად დათმო პარტია კასპარიანმა კორჩნოისთან, ხოლო ზურახოვ-ხალილბეილი, იუხტმან-კასპარიანი, ვორონკოვ-იუხტმანი და კორჩნოი-ბუსლაევი ყაიმზე შეთანხმდნენ. პეტროსიან-გურგენიძის პარტიაში გურგენიძემ პირველი დამარცხება განიცადა. მეორე გადადებულ პარტიაში გურგენიძემ მოუგო ზურახოვს. გიორგაძე დამარცხდა პეტროსიანთან.

ჩუკაევმა წააგო კობლენცთან. ტალი-კოტკოვი, სახაროვ-კოტკოვი, კობლენცი-კროგიუსი და კოტკოვი-პოლუგაევსკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ხუთი ტურის შემდეგ ლიდერები არიან პეტროსიანი, ფურმანი და კობლენცი, რომლებსაც სამნახევარ-სამნახევარი ქულა აქვთ.

# რესპუბლიკური თათბირი ფოლკლორის საკითხებზე

დღეს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიხსნება პირველი სამეცნიერო რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიძღვნილია ქართული ფოლკლორის საკითხებისადმი. რესპუბლიკურ სამეცნიერო თათბირს აწყობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო. თათბირს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი.

# თეორიული კონფერენცია

27 ნოემბერს საღამოს 7 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლში (ლენინის ქ. № 35) პარტიული აქტივისათვის შედგება თეორიული კონფერენცია თემაზე: „ხალხის მასები საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ძალაა. პიროვნების როლი ისტორიაში".

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი

(1955 წლის გამოშვება)

## ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-2 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1956 წლის 18 ნოემბერს ქ. ჩელიაბინსკში. მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 180010 | 1-50 | 200 | 184946 | 1-50 | 200 | 189935 | 1-50 | 500 | 195072 | 1-50 | 200 |
| 180181 | 1-50 | 200 | 185061 | 1-50 | 200 | 189937 | 1-50 | 200 | 195246 | 01*) | 1.000 |
| 180285 | 1-50 | 500 | 185546 | 1-50 | 200 | 190154 | 1-50 | 200 | 195371 | 1-50 | 200 |
| 180700 | 49*) | 1.000 | 185883 | 1-50 | 200 | 190167 | 1-50 | 200 | 195568 | 1-50 | 200 |
| 180992 | 1-50 | 200 | 186446 | 1-50 | 200 | 190300 | 13*) | 1.000 | 195941 | 1-50 | 200 |
| 181191 | 1-50 | 200 | 186514 | 1-50 | 200 | 190364 | 1-50 | 200 | 196127 | 1-50 | 200 |
| 182005 | 1-50 | 200 | 186791 | 1-50 | 500 | 190493 | 1-50 | 200 | 196171 | 1-50 | 200 |
| 182079 | 1-50 | 200 | 186838 | 48*) | 1.000 | 190803 | 31*) | 1.000 | 196273 | 1-50 | 200 |
| 182120 | 1-50 | 200 | 186890 | 26*) | 1.000 | 190843 | 1-50 | 200 | 196427 | 1-50 | 200 |
| 182313 | 1-50 | 200 | 187066 | 1-50 | 200 | 191038 | 02*) | 1.000 | 196738 | 1-50 | 200 |
| 182733 | 09*) | 1.000 | 187142 | 1-50 | 200 | 191067 | 13*) | 5.000 | 196810 | 1-50 | 200 |
| 182768 | 1-50 | 200 | 187257 | 1-50 | 200 | 191285 | 1-50 | 200 | 196950 | 1-50 | 200 |
| 182785 | 1-50 | 200 | 187279 | 1-50 | 200 | 191325 | 44*) | 1.000 | 197434 | 1-50 | 500 |
| 183101 | 1-50 | 200 | 187370 | 1-50 | 200 | 191356 | 1-50 | 200 | 197498 | 1-50 | 200 |
| 183241 | 48*) | 1.000 | 187501 | 1-50 | 200 | 191390 | 1-50 | 200 | 197965 | 1-50 | 200 |
| 183316 | 16*) | 1.000 | 187619 | 25*) | 1.000 | 191421 | 1-50 | 200 | 197979 | 1-50 | 200 |
| 183332 | 29*) | 5.000 | 188329 | 1-50 | 200 | 191429 | 09*) | 5.000 | 198041 | 1-50 | 200 |
| 183537 | 1-50 | 500 | 188334 | 1-50 | 200 | 191463 | 44*) | 1.000 | 198326 | 1-50 | 200 |
| 183680 | 07*) | 1.000 | 188360 | 1-50 | 200 | 191605 | 1-50 | 200 | 198329 | 1-50 | 200 |
| 183757 | 1-50 | 200 | 188374 | 1-50 | 500 | 191934 | 1-50 | 200 | 198437 | 1-50 | 200 |
| 183863 | 20*) | 1.000 | 188488 | 12*) | 1.000 | 192611 | 1-50 | 200 | 198715 | 1-50 | 200 |
| 183943 | 1-50 | 200 | 188553 | 1-50 | 200 | 193065 | 38*) | 1.000 | 198724 | 15*) | 1.000 |
| 184070 | 22*) | 1.000 | 188604 | 1-50 | 200 | 193717 | 1-50 | 200 | 198872 | 1-50 | 200 |
| 184200 | 1-50 | 200 | 188710 | 1-50 | 200 | 193750 | 1-50 | 200 | 198904 | 1-50 | 200 |
| 184306 | 1-50 | 200 | 189056 | 44*) | 1.000 | 194031 | 34*) | 1.000 | 199025 | 15*) | 1.000 |
| 184351 | 1-50 | 200 | 189257 | 1-50 | 200 | 194105 | 1-50 | 200 | 199187 | 1-50 | 200 |
| 184405 | 30*) | 1.000 | 189333 | 25*) | 1.000 | 194290 | 45*) | 1.000 | 199264 | 01*) | 1.000 |
| 184442 | 1-50 | 200 | 189622 | 1-50 | 200 | 194551 | 07*) | 1.000 | 199496 | 1-50 | 200 |
| 184512 | 1-50 | 200 | 189669 | 1-50 | 200 | 194553 | 1-50 | 200 | 199631 | 1-50 | 200 |
| 184515 | 10*) | 1.000 | 189754 | 1-50 | 200 | 194839 | 1-50 | 200 | 199877 | 1-50 | 200 |
| 184568 | 1-50 | 200 | 189841 | 1-50 | 200 | 194840 | 1-50 | 200 | 199948 | 50*) | 1.000 |
| 184684 | 25*) | 1.000 | | | | | | | | | |

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თითოეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ჩელიაბინსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. გეზლომოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ვ. კუზნეცოვა.

---

დედა თებრო, მეუღლე ქენია, შვილები ზაირა, ნანული, ჯულიეტა, ციური, დები ლუბა, გოგუცა, ნინო, თამარ, ძმა შოთა ოჯახებით იუწყებიან

**ირაკლი დიანოზის-ძე გორდეზიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 7 ს. გამოსვენება 29-XI, 4 ს. ზაჰესის I შესახვევი № 3.

---

შვილები სერგო, სევერიანე, ამბროსი, რძლები ლიდა, ქეთო, ნინო ოჯახებით იუწყებიან

**კოზმან გრიგოლის-ძე მაღრაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-XI სოფელ მარელისში (ორჯონიკიძის რ.).

---

მეუღლე ევგენია, შვილები ოლღა, თინა, ლამარა, ძმა თეოფილე, სიძე ო. გვაზავა ოჯახებით იუწყებიან

**სამსონ თომას-ძე ნაცვლიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 7 ს. გამოსვენება 29-XI, 4 ს. კამოს ქ. № 74.

---

დედა ბაბილო, მამა არკადი, დები რუსუდან, თამარ იუწყებიან

**ალიოშა არკადის-ძე კობერიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 8 ს. გამოსვენება 29-XI, 3 ს. ფოთის ქ. № 9.

---

მეუღლე ნინო, შვილები ნათელა, ლაური, ძმა გრიშა, და სირან ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

**გარეგინ ზაქარიას-ძე აკოფოვის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 7 ს. გამოსვენება 29-XI, 4 ს. ხეთაგუროვის 97.

---

შვილები აპოლონ, ქსენია, თათუშა, ცუცა, ძმა ხარიტონ, და კამა, რძლები ციცინო, ოლია ქვანიები, ს. სულაქველიძე, სიძეები ვ. კუტალია, ბ. ანჯაფარიძე, ს. თურმანიძე ოჯახებით იუწყებიან

**მინადორა ანტონის ასულ ქვანია-კარტოზიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-XI, 8 ს. გამოსვენება 29-XI, 4 ს. ბარნოვის ქ. № 44-ა.

---

მეუღლე თინა, დედა ქსენია ლომინაძეები, შვილი მედეა, ძმები ბენიამინ, ქსენოფონტე, შოთა, დები ნინო, თამარ ოჯახებით იუწყებიან

**გრიგოლ გიორგის-ძე გიორგაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 7 ს. გამოსვენება 29-XI, 4 ს. საბჭოს ქ. № 49.

---

მეუღლე ანიკო, შვილები შალვა, მარგალიტა, არჩილ, შოთა, თამარ, და სოფიო, სიძე ა. ჭუჩუკაშვილი იუწყებიან

**გიორგი ანდრიას-ძე ბიბილაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-XI, 3 ს. სოფელ კარალეთში (გორის რ.).

---

მეუღლე ნინო, შვილები გივი, დოდო, ძმა ალექსანდრე, დები მარიამ, დომნა, ნადია, რძალი ლილი იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის

**დავით გიორგის-ძე ზარდიაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-XI, 8 ს. ათარბეგოვის ქ. № 39. დაკრძალვა 2-XII ქ. გურჯაანში.

---

შვილები შაქრო, ოლია, რძალი თამარ ოჯახებით, სიძე ნიკოლოზ ასლანიკაშვილი იუწყებიან

**დარია გიორგის ასულ გამდლიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-XI, 8 ს. გამოსვენება 29-XI, 4 ს. ლენინის ქ. № 30.

---

მეუღლე ლილი, შვილები თეიმურაზ, მარინე იუწყებიან ინჟინერ

**შალვა ბარნაბის-ძე ყუფარაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 8 ს. გამოსვენება 29-XI, 4 ს. მეორე პარალელური ქ. № 4.

---

დედა ოლღა, შვილები მიშა, გაიოზ, გიორგი, რძლები ქენია, პელაგია, სიძე შალვა სეთურიძე ოჯახებით იუწყებიან

**პავლე გიორგის-ძე მარსაგიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-XI სოფელ კარკუჩაში (ყაზბეგის რ.).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 01167

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.